# ცისკარი.

**1864**

აგვისტო.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


I — იმერეთის და გურიის კეთილშობილის საზოგადოებისადმი შემდგომად ფიცისა, ქენჭის ყრის წინეთ.—გაბრიელ ეპისკოპოზისა.

II — ფონტენებლო მოთხრობა (დასასრული) გ. დიდებულიძისა.

III — ლექსები: 1, მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან — თ. აკ. წერეთლისა.—2, ჩიჯავაძის კნეინას ელენეს გარდაცვალებაზე ნინა აბაშიძის ასულისა —3, კნეინა ელენეს საფლავის ნახვაზედ. იმისივე.

IV — კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში უქენის ქასრუსი,— ი. მოსიძისა.

V — სხვა და სხვა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისი.

ქერესელიძის ტიპოგრაფია.

## მ ე ს ხ მ ა.

იმერეთის და გურიის კეთილშობილის საზოგადოებისადმი შემდგომად ფიცისა, კენჭისყრის წინეთ ჩუეულ წელსა, თქმული გაბრიელ ეპისკოპოზისა მიერ.

პატივცემულნო და კეთილშობილნო წოდებანო იმერეთისა და გურიისა!

მოგილოცავ აწინდელსა ამას შეკრებასა. მიხარის მეცა, ჰხედავ რა თქუენ ესრეთ შეკრებულთა და შეერთებულთა, მიხარის მისთჳს, რომელ მოვალეობისამებრ ჩემისა თანამდებ ვარ უჴნობად თქუენდა მიმართ მრავალთა დიდად საჭიროთა და მიუცილებელთა საგანთა ზედა, რომელთა თჳს უჴნობა და განზრახვა მაშინ უმჯობეს არს, ოდეს კეთილშობილი საზოგადოება ესრეთ არის შეკრებილი, ვითარცა აწ — რომელნი არიან ეს საგანნი? პირველი და უმთავრესი ყოველთა არის ისრეთი საგანი, რომელსა ზედა თქუენგანიცა თჳთოეული ფიქრობს და ზრუნავს სამის წლის წინეთ ამისა, ოდეს თქუენ ყოველნი ეგრეთვე, ვითარცა აწ, იყვენით შეკრებილნი ეკკლესიასა ამას

შინა, ვალისამებრ ჩემისა გაგახსოვე თქუენ, თუ ვითარ საჭირო არს და მიუცილებელ, რათა თქუენცა იწყოთ ფიქრობა და ზრუნვა იმ დიდ ცვლილებასა ზედა, შორის მებატონეთა და ყმებთა დაწყობილებისა რომელი კიდევაც გათავდა მთელსა რუსეთის სახელმწიფოსა შინა, თვინიერ ჩუენის ქუეყნისა; რომელთამე ჩემთა მსმენელთა კიდეც ივიქრეს, მაშინ ვითომც არ იყო საჭირო, უდროო იყო ამაზე უბნობა ჩემგნით. გარნა აწ თჳთოეული თქუენგანი ხედავს და თვითონაც აღიარებს თუ ვითარი საჭირო იყო ამაზე ლაპარაკი, თჳთოეული თქუენგანი იტყჳს. მრავალ გზის გამიგონია, მრავალთა პირთაგან, რომელ უმჯობეს არს დროზე გათავდეს ეს დიდი საქმე. ვიქცევი რა ხშირად თქუენ შორის სხუათა და სხუათა სოფლებთა შინა და მაქუს რა ხშირად მრავალთა თქუენ შორის პირთა თან უბნობა და განზრახვა ამ დიდ საგანზე, მე შევნიშნე სამწუხაროდ ჩემდა, სულ მოკლეობა და ამასთანვე, მრავალი უმართლო ჰაზრი უმრავლესთა პირთა ამ საგანზე, ამისთჳს არ შემიძლია მე არ გითხრა თქუენ ჩემი ჰაზრი.

რასა შინა მდგომარეობს, ძმანო, ის ცვლილება რომელი უნდა მოხდეს შორის მებატონეთა და ყმათა? რისთჳს ისურვა უმაღლესმა მთავრობამან განთავისუფლება ყმათა? რას უნდა მოველოდეთ, ამ ცვლილებისაგან, სარგებლობასა ანუ ვნებასა? ახლად არის მოგონებული ეს ცვლილება, ანუ დიდი ხანი არის გამოცდილი და შეტყობილი? რას იზამს ეს ცვლილება და რას უნდა მოველოდეს მისგან ქუეყანა? ვინც გარგათ, ღრმათ ივიქრებს და

მომებნის პასუხსა ყოველთა ამათ კითხვათასა, იგი ადვილად დარწმუნდება თუ რა დიდი და მიუცილებელი და სასარგებლო არის განთავისუფლება ყმათა? მოკლედ გეტყჳ პასუხსა: პირველად, ცვლილება რომელსა მოითხოვს თქჳენგან მთავრობა, ამაშიგი არ მდგომარეობს რომელ მოგაკლდესთ და დაგეკარგოსთ ის სარგებლობა, რომელიც თქჳენ გქონდათ ყმებთა თქჳენთაგან; არამედ სარგებლობა და შემოსავალი მოგდიოდეს თქჳენ სხჳა წყაროთგან, ესე იგი არა მონებრივისა მუშაობისაგან მოყვასთა, და ძმათა თქჳენთა, ქრისტიანეთა, არამედ თავისუფალისა მათისა შრომისაგან.

მეორედ უმაღლესმა მთავრობამ მისთჳს ისურვა განთავისუფლება ყმებთა რომელ ყმისა ანუ მონის მუშაობასა არა აქჳს მესამედი თავისუფალის კაცის მუშაობისა სარგებლობა.

მესამედ, ამ ცვლილებისაგან უნდა მოველოდეთ გრცელსა სარგებლობასა ჩჳენის ქჳეყნისათჳს. ამას ახსნის ერთი უბრალო მაგალითი: გამოცდილებამან უეჭველად დაამტკიცა, რომელ ერთი თავისუფალის კაცის მუშაობა ორის მონისა მუშაობასა მაინც გაუსწორდება. იმერეთში, იტყჳან, ოცი ათასი კვამლი ყმა მებატონეთა არისო. მაშასადამე, მათი ნაყოფი ანუ ნამუშევარი ძლივს გაუსწორდება ათი ათასის კვამლის ნამუშევარს; მაშა სადამე, იმერეთში ათი ათასის კვამლის ღონე და ძალა უნაყოფოთ იკარგება. წარმოიდგინეთ აწ რაოდენი ნამუშევარი შეემატება ქჳეყანასა ჩჳენსა უკეთუ ქოდენთა მუშაკთა განთავისუფლებულთა იწყეს თავისუფალი და ხა-

დისიანი მუშაობა

მეოთხედ, ჩუეულება ესე, რომელსა ითხოვს თქუენგან აწინდელი გარემოება არ არის რაიმე ახლად მოგონილი, არამედ დიდი ხნიდგანვე გამოცდილი და შეტყობილი თჳთ ისტორია ანუ ცხოვრება კაცობრივისა ნათესავისა ამტკიცებს მისსა საჭიროებასა და სარგებლობასა. ვიცით ჩუენ, რომელ უმაღლესი განათლება, სიმდიდრე და წარმატება ახლა სუფევს საფრანგეთის სახელმწიფოსა შინა. გარნა ეს გასაკჳრვებელი განათლება და წარმატება შემოვიდა მხოლოდ იმ დროიდგან, ოდეს მოისპო მათ შორის მონება და ყმობა. აჰა, მოკლედ, მიზეზნი, რომელნი ჰყოფენ საქმესა ამას ჩუენ შორის.

გარნა რაც მე აქამომდე ვთქჳ, ეს არის მხოლოდ ერთი კერძო დიდისა ამის საქმისა, აქამომდე მე გელაპარაკებოდი თქუენ ვითარცა მოქალაქეთა ამის სოფლისათა, გარნა მე ვარ თქუენი მწყემს-თავარი და უნდა გელაპარაკებოდე ვითარცა ქრისტიანეთა თანამდებობისამებრ ჩემისა. მე ყოველთჳს უნდა მქონდეს სახეში თქუენი ზნეობა და ყოფაქცევა. მრავალგზის გამომიცხადებია თქუენ წინაშე გულითადი მწუხარება იმას ზედა თუ ვითარ დაცემული არის ზნეობა სამწყსოსა შინა ჩემსა. ხშირად ვფიქრობ რა უნდა იყოს მიზეზი ამისა: აწ პირმოუთნებელად უნდა გითხრა, ძმანო ჩემნო, რომელ უმთავრესი მიზეზი ამისა არის ბატონყმობა.

არა, ძმანო ჩემნო კეთილშობილნო! დრო არის გავიღვიძოთ, დრო არის შევუდგეთ ჩუენცა რომელსამე წარმატებასა და განათლებასა; დრო არის შევიტყოთ, რო-

მელ თჳნიერ ყმებთა განთავისუფლებისა არ შემოვა და არ დაიწყებს ჩუენ შორის არცა ერთი განათლება ერთი საშინელი ნაკლულევანება გვაქუს ჩუენ ყოველთა: ის, რომ არა ვზრუნავთ მომავალის დროებისათჳს. ჩუენ გვახსოვს მხოლოდ დღევანდელი დღე; ჩუენ მარტო იმას ვფიქრობთ, რომელ დღეს გვქონდეს რამე და ხვალ რა იქნება იმას არ ვზრუნავთ, კეთილ-გონიერი და ღუთის-მოყუარე კაცი იმას ფიქრობს, რაჲმე სიკეთე დავსტოვო შჳლთა და მომავალთა ჩუენთათჳს უმჯობესი საქველო-შჳლთა და მომავალთა თქუენთათჳს ის იქნება, რომელსაც განათავისუფლებთ თქუენ იმათ საშინელის ამის უღლისაგან, ესე იგი ბატონყმობისაგან.

# ფონტენებლო.

(განგრძელება)

ჰენრიხმა გააკეთა შემდგომნი შენობანი ფონტენებლოში: გალერეია კოროლევასი, პავილიონი დიდის გუბისა; ბაღი, ხუთი შადრევანი კოროლის ბაღში, მშვენიერი მარმარილოს ბუხარი ლუდოვიკ იეს ზალაში, სამხედრო სახლი, სხჳა და სხჳა შემკობანი წმინდის სამების ეკკლესიაში და იმ ოთახში რომელშიაც დაიბადა ლუდოვიკ მეცამეტე.

ჰენრის უყვარდათ არტისტებსა და ხუროთ მოძღვართა, როგორც უხვებისათჳს, ეგრეთვე კეთილ სულობისათჳს მისისა არა თუ ყველას ჰქონდა იმასთან თავისუფალი მიმოსვლა, არამედ თჳთ ის ტყობულობდა თჳთოეულის კაცის საჭიროებას, დიდი კმაყოფილებათ მიაჩნდა იმას, როდესაც შევიდოდა და ნახავდა არტისტების სამუშაოს.

კარდინალმა რიშელიემ მოჰფინა ფონტენებლოს შავი აჩრდილი. ის მიდიოდა ხოლმე იქა ხან მოსაწყრად ხელის

სისხლის სამართლის განჩინებათა ზედა, და ოდესმე დასასვენად მძიმეთა შრომათაგან.

ერთხელ მივიდა ის იქ ფერმკრთალი, თითქმის მომაკვდავი; ის მიჰქონდათ მოსამსახურეთ, განიერის ტახტრევანით ოქროთი და ყვავილებით შემკულით

ლუდოვიკ იგ. შეჰმატა ფონტენებლოს შემკობილებათა მშვენიერი კიბე, რომელსაც ჰქვან ჩლიქი, იმ ეზოში, რომელსაც უწოდებენ ეზოდ თეთრის ცენისა

ქვრივი კოროლევა ანნა ავსტრიისა და კარდინალი მაზარინი მისაგებებლად კარლ პირველის მეუღლისა, კალიის მემკვდრისა, მისის ძისა, და მარიამ გონზაკოზი, რომელიც იყო დანიშნული პოლშის კოროლისაგან.

**1657** წელსა ჩინებულმა სტუმარმა მიიზიდა ფონტენებლოში ყურადღება საზოგადოებისა; იმას მიეგებნენ როგორც კარლ მეხუთეს. მონპანსე, რომელიც დაესწრო იმის იქ მისვლაზედ აღწერს იმას ასე: ის სტუმარი მოვიდა ფონტენებლოში ცხენით; ხელში ეჭირა შლიაპკა შავის ფრთებით; თვალები ჰქონდა შავი; ხან იყურებოდა ალერსით, ხან სასტიკათ; სახე ჰქონდა სასიამოვნო; კბილები თეთრი და ჩინებული; ცხჳრი გრძელი, ტანათ იყო პატარა; ის ჰგავდა პატარა ვაჟსა, ის დაესწრო ტეატრში, ის იმეორებდა ლექსებს, რომელიც მოსწონდა თამაშობის დროს; ლაპარაკობდა სხჳა და სხჳა საგანზედ, და სიტყვები იყვნენ სასიამოვნონი; ხან და ხან ჩაკარდებოდა ხოლმე ის დიდს ფიქრებში და მიეცემოდა ხოლმე სევდებსა და ხშირად ოხრავდა.

ეს ჩინებული სტუმარი იყო შვეციის კოროლევა

ქრისტინა აიხადა რა თავიდგან გვირგვინი გუსტავ ადოლფისა, გმირის თავის მამისა, რომელიც იმას ღირსებით ედგა დიდხანს, ქრისტინას მოაგონდა, რომ ისა ლაპარაკობდა რვას ენაზედ და წავიდა ქვეყნების დასავლელად.

ლუდოვიკ მეთოთხმეტემ ფონტენებლოში დასტოვა სასიამოვნო სახსოვარი ყოველი კარის ქალი გამოჩნდა იქ ბალეტში, რომელსაც ერქვა: დრონი წელიწადისა. იმ ტეატრში თვითონ კოროლმა ითამაშა გაზაფხულის როლი. ლუიზა ლავალიერი ეჩვენა ამ საყვავილეში ყველაზედ უმჯობეს ყვავილათ.

იმ დროს აღაშენეს ვერსალი და გაათავეს მორთვაც, ამიტომ ლუდოვიკ მეთოთხმეტემ დაუტევა ფონტენებლო და იშვიათათ მიბრუნდებოდა ხოლმე ის იქა.—

მშვენიერი ბურგონის გერცოგინა, როგორც დაბრუნდა სავოიდამ, მაშინვე წავიდა ფონტენებლოში, სადაც თვისის სიტურფით დიდკაცურის მიმოხვრით და კეთილსულობით დაატყვევა ყველას გული

ნოემბერში **1100** წელსა ფონტენებლოში მოხდა ღირსშესანიშნავი დიპლომატიკური სანახავი.

ისპანიის კოროლი კარლ მეორე მოკვდა უშვილოთ თვითეულმა სახემწიფომ წარადგინა მემკვიდრე ისპანიის ტახტისა, და მოუთმენლათ ელოდნენ გაეხსნათ კოროლის ანდერძი ელჩები და დიპლომატის ქაღალდები გადადიოდნენ პარიჟიდამ ვენაში და მადრიდიდამ ლონდონში სისწრაფით.

**9**—ს ნოემბერს ლუდოვიკ იდ ემზადებოდა სანადი-

როთ წასვლასა, და იმ დროს მოიჭრა ისპანიიდამ გუ-
რიელი. ნადიროზა მოიშალა; კოროლი, მემკვიდრე იმისი და მინისტრები შეიყარნენ მენტონონის ქალთან. რჩევა განგრძელდა შუღამეზამდინ და განახლდა კიდევ მეორეს დღეს; საქმე იყო იმ გვარი, რომ ძირდა გაგრძელებულიყო რჩევა კარლ მეორეს გვირგვინი თჳსი ეანდერძნა ლუდოვიკ მეთოთხმეტეს შჳლის შჳლისათჳს უარის თქმა იმაზედ ნიშნავდა იმას, რომ ის ტახტი უნდა სხვას წაელო; მიღება იმისი—იმას, რომ მთელი ევროპა უნდა აეტეხნა

ექუსის დღის შემდგომ ყველანი ფონტენებლოდან გადავიდნენ ვერსალში ელჩნი ისპანიისა მოუთმენლად ელოდნენ ლუდოვიკისი მეთოთხმეტის პასუხსა. ბოლოს გამოიყვანა ყმაწჳლი გერცოგი ანჟუისა და უთხრა იმათ: აი თქუენი კოროლი თავი დაუკარით ამას!...

ამ სახით გადუგდო ევროპას პერჩატკი; ევროპამ აიღოისა და ასტეხა ისეთი ჩხუბები ისპანიის ტახტზედ, რომელთაც კინაღამ დაღუპეს ლუდოვიკიც და სრულიად ფრანციაც გერცოგმა ფილიპპე მეხუთემ როგორც იყო იპყრა ისპანიის გვირგვინი და მასაქეთ იმას მფლობენ მისნი მემკვიდრენი.

დიდმა კოროლმა ფონტენებლო შეამკო მრავალ რიგათ იმას არ მოსწონდა ტყე რუჯ ბოლოს; ეს სთქუა ერთხელ სასეირნოთ წასვლის დროს; მსწრაფლვე შეატყობინა გერცოგმა ანტენისამ ეს ამბავი ათასთა შეშის მჭრელთა და ვინემ კოროლი დაბრუნდებოდა უკან სეირნობითგან ის ტყე აღარ იყო.

მონსარი, პეტრო ლენოტრი და ჟირარდონი იყვნენ ღირსეულნი თანამშრომელნი ლუდოვიკისა რასაც მიდიოდა ხოლმე ფონტენებლოში ყურის საგდებლად, თუ როგორ წარმოადგენდნენ ხოლმე იმის ტრაღედიებსა.

ერთხელ ამ წარმოდგინების დროს შენიშნა კოროლმა რომ ქალების ტანისამოსი იყო ცოტა ღარიბი ამაზედ შეიკრა იმან წარბი. შემდგომს წარმოდგენაში ტანისამოსი ქალებთა ბრწყინავდენ ბრილიანტებითა.

პირველს დღესასწაულობით მისვლაზედ ფონტენებლოში ლუდოვიკ მეთხუთმეტისა მოხდა იქ შემდგომი გულის მომწყვლელი შემთხვევა:

მცირედს სატუმრო ოთახში ლაპარაკობდენ ჭაღარა მოხუცი, მშვენიერი გასათხოვარი ქალი და აფიცერი ოცის წლისა. უკანასკნელი ელაპარაკებოდა მოხუცს ნემეცურს ენაზედ; მშვენიერი ტურფა ქალი უგდებდა ყურსა მაგრამ არა ესმოდარა, იმ ლაპარაკისა,, რადგან ის ენა არ იცოდა, და მოსდიოდა ამაზედ გული, რომელსაც გამოხატავდა ის ერთ რიგ სხეულთ მოძრაობით.

მოხუცი იყო პოლშის კოროლი სტანისლავ ლეშჩინსკი, რომელმაც მიიღო გვირგვინი კარლ მეთოთხმეტისაგან, მოკლებულ იქმნა იმას რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდისაგან იმ დროს მას ეძლეოდა ხარჯი საფრანგეთიდამ ის ქალი იყო იმისი ასული, ნუგეში იმისს მწუხარებაში, აფიცერი იყო ღრაფი დე-ესტრე კაპიტანი ფრანციის ღვარდიისა; ლუდოვიკ მეთხუთმეტემ უბძანა იმას რომ ის ყოფილიყო ნიადაგ იმ გადამდგარს კოროლთან

ერთხელ ის კაპიტანი დაეუდა სტანისლავის კრესლას

და უთხრა ჩუმათ, რომ ის სთხოვს იმას ერთს რასმეს მოწყალებას თქუენ მგონია დაგავიწყდათ, რომ მე კოროლი აღარა ვარ, უთხრა იმას მღიმარებით სტანისლავმა.

ნუღარ მოიხსენებთ თქუენ უწინდელს დიდებას. უთხრა იმას აფიცერმა; დაივიწყეთ ესე ამიტომ, რომ ჩემი თხოვნა შეეხება თქუენს ქალსა; მე გთხოვ, როგორც მოწყალებასა, იმის ხელსა.

სტანისლავმა შეხედა იმას დიდის განკჳრვებით. ნუ სწუხართ, უთხრა იმას კაპიტანმა, მე ეს საიდუმლო არავისთჳს არ მიმინდვია. არცაღა თქუენის ქალისათჳს თუმცაკი იმისი დაწყობილება მაფიქრებინებს და თქუენიც თუ რა სიგრძე სდევს ჩემსა და თქუენს ქალს შუა ძნელია ამაზედ გადაბიჯება; ვგრძნობ მე თითონ ამას, მაგრამ მომიტევეთ ეს დავიწყება ეს კადნიერება, თქუენმა მშუენიერმა ქალმა უეჭველად დამავიწყა და თუ ჩემი ფიქრი არის მხოლოდ ერთი ოცნება, უიმედო მოლოდება, მაშინ მე! . . .

და მოჰყვა აქ აღწერას მისის ქალის სიტურფისას, და ესე რიგათ წარმოუდგინა იმას სურათი იმათის შეუღლებულის ბედნიერებისა, რომ მამობრივი სიყუარული აღემატა სხუა გრძნობას და უთხრა სტანისლავმა ღიმობიერობით: მე ვხედავ თქუენ უნდა იყოთ პატიოსანი და კეთილშობილი ყმაწჳლი კაცი, და ამიტომ მზა ვარ შევისრულო თქუენი სურჳლი მხოლოდ უნდა დამიდო ერთი რამ პირობა

მაშინ გრაფი მივარდა მუხლებზედ სტანისლავს და მზა იყო დავარდნილიყო მისის ქალის მარიამის წინაც. მა-

გრამ მამამ სტაცა იმას ხელი და უთხრა:

მე თქუენ წინადადებით ორს პირობას ნაცვლად ერთისას: ჩემი ქალი ვერ ჩამოვა იმ ხარისხ ქუეყნით, რომელსაც თქუენ შეგიძლიათ აჰვიდეთ ეცადეთ მიიღოთ გერცოგობა და პერობა ფრანციისა და ჩემი ასული მაშინ თქუენი ცოლი იქნება.

კარგი. უთხრა ყმაწვილმა გრაფმა, ერთის წლის შემდგომ მე აწ მივიღებ მაგ ტიტულებს ანუ მოვკვდები! მემკვიდრე საფრანციეთის ტახტისა მე მწყალობს, და უევარკარ საკუთარს ყურადღებაში; იმედი მაქვს ის შემეწევა მე ამ საქმეში და შეიქმნება ჩემი დაუვიწყარი კეთილის მოქმედი აი ესეც მეორე პირობა განკრძალტანილდაუმა, ჩემს ასულმა არ უნდა იცოდეს ჩუენი პირობა იმ დრომდის ვინემ თქუენ იმას.. შე სრულებდეთ.

გეფიცებით დავიმარხო ეგ საიდუმლო. უთხრა გრაფმა და გასწია კიდეც პარიჟში.

კაპიტანი მართლაც ისე წავიდა პარიჟში, რომ აღარ უნახავს მარიამ მემკვიდრემ ნადირობის დროს წარუდგინა ის ლუდოვიკ მეთხუთმეტეს გრაფმა სთხოვა მის დიდებულებას, რომ ნება მისცეს იმას ემსახუროს უკანასკნელს სისხლის წვეთამდის, რომ იმით დაიმსახუროს ტიტული გერცოგისა და პერისა.

გერცოგისა და პერისა? რა არის მაგდენი პატივის-მოყვარება? ჰკითხა გოროლმა განკვირვებით.

თქუენო დიდებულებავ! უთხრა იმას კაპიტანმა; თქუენც ისე ყმაწვილი ახალგაზდა ბრძანდებით, როგორც მე, და ამიტომ გამოგიტყდებით მე ყოველსავე ჩემს სა-

იდუმალოში, და მოუყვა აქ სტანისლავის ქალის ქებას და დაუმატა, რომ იმას აქვს გადაწყვეტილი ანუ ღირსი შეიქნეს მისის ქმრობისა, ანუ მოკვდეს.

უყუარხარ იმასაც! ჰკითხა კოროლმა საკუთრის გამოძიების მოყვარებით.

სწორეთ არ ვიცი, უყუარვარ თუ არა, მოახსენა კაზიტანმა მაგრამ ვეცდები, რომ თავი შევაყვარო.

კოროლი იყო ამით გრძნობაში მოყვანილი, და იქნება მაშინვე მიეცა იმისთჳს გერცოგობაც და პერობაც მაგრამ უცებ მემკჳდრე იმისი მოჰყუა დიდის ხმით სიცილსა და უთხრა აფიცარს: ხომ არ გაგიჟებულხართ, საყუარელო ძმაო კაზიტანო: თქუენ გინდათ შეირთოთ ქალი სტანისლავისა, რომელსაც ლუკმა პური არა აქვს საჭმელი მე ამის ნებას არ მოგცემ არას გზით თქუენ უნდა დაივიწყოთ მალე ეგე ფიქრი მე თქუენ განგკურნავთ მაგ უბედურის სიყუარულისაგან იმით, რომ მალე შეგრთავთ ცოლსა, რომელსაც ექნება რაოდენიმე მილიონი მზითევი მერე უფრო ადვილი იქნება მიღება გერცოგობისაც და პერობისაც. ხვალ უთუოთ მოგელი პალეროიალში ჩემთან ვახშმათ.

აქ ყმაწვილი კოროლი ლუდოვიკ მეთხუთმეტე რაღაზედ დაფიქრდა, და გრაფმა არ იცოდა თუ რა პასუხი მიეცა მემკჳდრისათჳს

მეორეს წელიწადს სტანისლავი იჯდა მახლობლად თავისის მშუენიერის ქალისა პატარა გოსტინაში ორნივე იყვნენ დაღონებულნი და ჩუმათ. პრინცესსა, ესე იგი, ასული იმისი, ცდილობდა გაემხიარულებინა მამა ანუ

გაეგო მიზეზი იმისის მწუხარებისა.

აი შვილო, უთხრა ბოლოს მამამ, გრაფი დესტრე ისე-თივე უმადურნი ყოფილა როგორც სხვები. უბედურებაში, ეტყობოდა, კაცს არ შერჩება არც ერთი მეგობარი. აი გადის აგერ რვა თვე და იმისგან არ მიმიღია არც ერთი სტრიქონი, მაშინ, როდესაც მე იმას აღუთქვი ძრიელ ბევრი!.. და იმისი პირველი წიგნები ჩემთან იყვნენ ძრიელ მეგობრულნი.

რა აღუთქვით მამაო? ჰკითხა მშვენიერმა მარიამმა ძლიერის მღელვარებით.

მაშინ სტანისლავ შეშინდა, რომ ის არ მიმხვდარიყო იმ საიდუმლოს და გამოსცვალა ლაპარაკი.

ამ დროს კურიერი მოიჭრა საფრანგეთიდამ და მო-უტანა იმას ორი წიგნი; გახსნა ჯერ ერთი და იცნო კაპიტანის ხელი.

მე ტყუილად ვემდუროდი გრაფს, უთხრა მამამ მა-რიამს სიხარულით; აი იმისი წიგნი; მაგრამ როდესაც იმან წაიკითხა რამოდენიმე სტრიქონი, გავარდა წიგნი ხელიდამ და თვით შეწუხებული დაეშვა კრესლაში. იმ წი-გნში გრაფი უბრუნებდა იმას თავის აღთქმას და უარს ამბობდა იმის ქალზედ ისრეთის სიტყვებით, რომელნიც ძლივს ჰფარავდენ მისს სრულს გაგრილებას მარიამის სიყვარულზედ; მაშინ სტანისლავმა გახსნა მეორე წიგ-ნი და კითხულობდა დიდის ყურადღებით. ბოლოს უცებ დაიყვირა და იმის სახეზედ გაითამაშა დიდმა სიხარულმა.

იმ წიგნით თვით კოროლი ლუდოვიკ მეთხუთმეტე სთხოვდა იმას ხელსა იმის ქალისას.

როდესაც ლუდოვიკს გრაფმა აღუწერა სიტურფე და ს. მშვენიერე პრინცესა მარიამისა, მაშინ ყოველივეს ღრმად ჩაუვარდა სულში ჭაბუკოვანს საფრანგეთის კოროლსა; დანაშთენიც დასრულდა თვით განგებულებამ და ქორწილი იმისი და მარიამისა დიდებასწავლულობით გადიხადეს ფონ-ტენებლოში სეკტემბერში **1725** წ.

ყმაწვილმა კოროლევამ გადუხადა ორპირობა გრაფს ლე-ესტერსს მით, რომ აზობეგინა მისთვის ღირსება გერ-ცოგისა და პერისა.

ლუდოვიკ მეთხუთმეტე მოვიდა ფონტენებლოში და-სასვენებლად. შემდგომ ძლევას, რომელიც იმან იპყრა ფონტენუის წინ, და ნახა როგორ ლოცულობდა ხალხი მახლობლად იმისის სასიყვარულო სარეცელისა შემდგომ მალე მოაწერა იმან ხელი ფონტენებლოში შვიდობაზედ, რომლითაც დასრულდა შვიდის წლის ომიანობა. ფრანცია იმით აკლდებოდა კანადსა და უნდა დაენგრია სიმაგრენი დიუნკირხენისა ანგლიის კომმისარის მხედველობასა ქვეშე

მარშალი საფრანგეთისა სუბიზი, რომელმაც როსსა-ხის წინ მისცა მსხვრევლად თავისი ლაშქარი პრუსიის კოროლსა, მოვიდა ფონტენებლოში თავის გასამართ-ლებლად, და იმ დროს, როდესაც ის მოუყვა ლუდოვიკ მეთუთხმეტეს ტყუილად მოგონილს ამბავს თავისის და-მარცხვისას, ნამდვილი შემთხვევა შეადგინეს კოროლის ფანფარაში ლექსად შედგენილი. იმ ლექსებში სუბიზი ფარნით ხელში ამბობდა: ტყუილად არ ვეძებ, რა მექნა მე ლაშქარი? ის გუშინ დილას აქ იყო ჩემთან. ანუ თუ მე ის წამართვეს? ანუ თუ მე ის დავკარგე? ოჰ? მე სრულიად

ვკარგავ ყოველსავე ისე განბნეულ ვარ! ვნახოთ მოვითმინოთ ხვალამდინ ოჰ ღმერთო რას ვხედავ! ოჰ სასწაულო! აი ჩემი ლაშქარი ანუ თუ მე შემცდარი ვარ? მართლად მე შევცდი; ის არის ლაშქარი მტრისა.

კოროლი იცინოდა ამ ლექსების კითხვაზედ, და მარშალიკი წითლდებოდა როგორც ჭარხალი.

გ-ს დეკემბერს **1765** წელსა ფონტენებლოში გარდაიცვალა მემკვიდრე ლუდოვიკ მამის ერთა ლუდოვიკ მეთხუთმეტისა, და მამა ლუდოვიკ მეთექვსმეტისა, ლუდოვიკ მეთვრამეტისა და კარლ მეათისა. იმან სთქვა ერთხელ, როდესაც ის უყურებდა პარიჟს მაღლის ბელვის კოშკიდამ: «ვითარს სიტკბოებას უნდა გრძნობდეს ის კოროლი, რომელსაც შეუძლიან შესძინოს ბედნიერება ამდენ მილიონ ხალხსა» რადგან ის დღე და ღამე შრომობდა თავის კაბინეტში ჩავარდა ჭლერჭათ, რომელმაც შეუმოკლა იმას დღენი.

ის ისე მცირედ უფრთხილდებოდა თავისთავსა, რომ არა ვითარი სამკურნალო საშუალობას არ მიმართამდა. ერთხელ მოვიდა იმასთან აქიმი სენაკი, კოროლისაგან გამოგზავნილი, და დაუწყო იმას ლაპარაკი მიუცილებლობისათჳს აქიმობისა.

უ· დოკტორო, უთხრა იმას მემკვდრემ. მე მზა ვარ მივიღო ხოლმე შენ მხიარულობით, როდესაც მეცოდინება, რომ ჩვენი ლაპარაკი იქნება სწავლაზედ და სიტყჳერებაზედ; და თუ ხმა ამოგიღიათ ჩემს სნეულებაზედ, იცოდეთ აღგიკრძალავთ ჩემთან სიარულსა.

მაშინ სესაკი მიუბრუნდა ალექსანდრე დიდის პორტრე-

ტეს და თავისათჳს დაიწყო ლაპარაკი, თუ რას ნიშნავს დაუძლეველობა გულის ტკივილის ავათ მყოფობაში დოქტორო, აგი ადვიერძალეთ მე თქუენ ლაპარაკი ავათმყოფობაზედ?

მე ხომ თქუენ არ გელაპარაკებით. მიუგო სენაკმა მე ველაპარაკები ალექსანდრე დიდსა, რომელიც მე ყურადღებით მისმენს

პრინცს გაეცინა ამაზედ და რადგან ხშირად ავიწყდებოდა ექიმების დარიგება, შემოდგომაზედ იმავე წლისა გარდაიცვალა

ჟანჟაკ რუსსო გამოცხადდა ფონტენებლოში 1752 წელსა იქ დიდის ანბით მიეგებნენ დანიის კოროლს ქრისტიანა მეშჳდეს არტისტებს დიდის ოპერისას უნდა ემღერნათ იმისთჳს სოფლის მკითხავის წარმოდგენილგას, რომელიც იყო თხზულება ჟანჟაკ რუსოსი «როდე-
«საც ყოველიკე მზა იყო და დღე წარმოდგენისა ადირ-
«ჩიეს» მე მითხრეს წასვლა ფონტენებლოში სწერის თჳთ
«რუსსო. რათამცა დავრწმუნდი უკანასკნელს რეპეტიცი-
«აში მე წაველი იქა ერთათ ქალწულის ფელსი,რომით
«და რეინსალითურთ სასახლის კარეტით. რეპეტიციამ
«განვლო საკმაოდ კარგათ; მე ვიყავი იმით მრიელ კმა-
«ყოფილი; ორკესტრში ერივნენ ოპერის არტისტები და
«კოროლის მუზიკანტები; მე მცირედ რასმე ვუსწორებ-
«დი, ამიტომ რომ ყოველსავე განაგებდა ჟელიოტი; არა
«მიიხედი იმისა რომ მე მქონდა თავი რომაელებრ დიდ
«ვაცურად, მე მრცხვენოდა იქ, როგორც სასწავლებელში
«მოსწავლეს ბოვშვსა»

მეორეს დღეს წინეთ წარმოდგენისა რუსსო წავიდა ერთს ყავაყანაში საუზმის საჭმელათ იქ დახვდნენ მრავალნი დიდნი კაცნი ლაპარაკობდნენ გუშინდელს რეპეტიციაზედ და იმაზედ, თუ რა ძნელი იყო იქ კაცი დასწრებოდა.

ერთმა იქ მყოფმა მაშინ დაიწყო იქ ლაპარაკი, რა რიგათ ის შევიდა რეპეტიციაში თჳნიერ დაბრკოლებისა, ასწერდა რაც იქ მოხდა თჳთ ავტორსა, ესე იგი რუსსოსა, მისს ქცევას, იმის ყოველს მოძრაობას; ამ გრძელს და მარტივს აღწერაში რუსსოს მიაჩნდა განსაკჳრვებლად მხოლოდ ის, რომ იმის ლაპარაკში არ იყო არც ერთი მართალი სიტყუა; უეჭუელი იყო, რომ ის კაცი არ დასწრებია რეპეტიციაში, ამიტომ, რომ, ის, რომელზედაც იმდენს ლაპარაკობდა, ესე იგი, რუსსო, უჯდა იმას თვალწინ და ის ვერა სცნობდა იმას, მაგრამ მეორე საკჳრველება იყო ისა, რომ ის კაცი არ იყო უმაწჳლი კაცი, არა ჰგავდა უბრალო ყბედსა, კოხტასა, არამედ სახე იმისი აჩუენებდა კაცსა ჭკჳანსა და საფუძვლიანსა მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ვინემ ის გათავებდა თავის ტყუილს ლაპარაკსა რუსსო წითლდებოდა, ძირს ხშირად იყურებოდა, იჯდა თითქო ნემსებზედ და ეძებდა ღონისძიებასა დაეჯერებინა ის ლაპარაკი, ბოლოს შეშინებული, რომ არავინა სცნოს ის, და იმათ არ შეარცხვინონ მოლაპარაკე, რუსსომ დასცალა საჩქაროდ შოკოლადის სტაქანი და გაუარა რა გვერდი თავ დაღუნულმა მოლაპარაკეს გავარდა ქუჩაში იქ შენიშნა, რომ ოფლი ჩამოსდიოდა იმას პირზედ

როდესაც დაიწყეს სოფიის მკითხავის წარმოდგენა. რუსსოს შენიშნა ყველას სახეზედ კმაყოფილება. პირველისავე სცენიდამ, რომელიც იყო მართლად მშჳენიერი, რუსსოს გაიგონა ლოჟებში ჩურჩული განკჳრვებისა და ქებისა, რომელიც უწინ არასოდეს არ მომხდარა იმ გვარ წარმოდგენაში რადგან კოროლიც დაესწრო იქა ამისთჳს არ შეეძლოთ ტაშის დაკვრა, და თავის კმაყოფილება უნდა გამოეთქვათ სხეულთ მოძრაობით და ჩურჩულით რუსსოს ესმოდა ქალების შემდგომი სიტყვები: ესრა მშჳენიერებაა, ეს რა აღსატაცებელი რამეა! არ არის არც ერთი ხმა, რომელიც სულს არა სძრავდეს! კმაყოფილებამ ააღელვა მშჳენიერი ქალები და ამან შესძრა პოეტი ცრემლის ფრქვევამდე და ამ გვარათ ის სტკბებოდა თჳსის ქებით და დიდებით იმას ენახა პიესები, რომელთაც განუღვიძებიათ უფრო დიდი სიხარული, მაგრამ არ ენახა ზალა, ესრეთი სავსე, ესრეთის ლმობიერებით და კმაყოფილებით დამტკბარნი

კოლტერ იმ დროს შრომობდა ფონტენებლოში ტრაღედიაზე, რომელსაც ეწოდება სემირამიდა — აი რა მისწერა იმაზედ ერთს თავის მეგობარს.

საყვარელო მეგობარო სიდვილ!

«აღარ მახსოვს, ვინა სთქვა, რომ კაცნი, რომელნიც «სწერენ ტრაღედიას, არასოდეს არ სწერენ თჳსთა მეგობართა იმ კაცს კარგა» სცოდნია კაცის ბუნება ტრაღედიის მწერალი ხშირად ამბობს: მივსწერ წიგნსა ხვალა და იმ

«წიგნებსვი, რომელიც მოსდის მეგობარითაგან ალაგებ-
«ბს თავის პორტფეში, და თვითონ მხოლოდ ფიქრობს,
«რომ შეჰკრიბოს გონებაში სხჳა და სხჳა ლექსები »
«აი როგორ ვსცხოვრებ ჩემო საყვარელო სიდივილ:
«მე მოველ ფონტენებლოში და ყოველს დილას ვატარებ
«ხალვათით სემირამიდაზედ თუ მშჳდობით ვიქნები, მე
მოვალ პარიჟში და წამოვიღებ ჩემს ნამუშავარს, და მით
«გავიმართლებ შენთან თავსა, მალე დაბრუნდი შენცა, საა-
«ყუარელო მეგობარო! მე არ ვიცი თქჳენს საზღვრებში
«რა ამბავია, და პარიჟშიკი იწყებენ ნადიმებსა და ლხი-
«ნებსა, და ჩემთჳს ყველაზედ უსიამოვნესი შექცევა და
«კმაყოფილება იქნება ისა, როდესაც გნახამ და მაგრათ
«ჩავიხუტებ გულში.

«შენი ვოლტერი »

ფონტენებლო
თ-ს ნოემბერს **1746** წელსა.

მარიამ ანტუანეტა ახალი ჯჳარდაწერილი ლუდოვიკ მეთექჳსმეტეზედ გამოსჩნდა ფონტენებლოში, ვითარცა ბრწყინვალე ვარსკვლავი შარავანდედზედ (გორიზონტზედ)

ლუდოვიკ მეთექვსმეტე ერთხელ ნადირობდა მახლობლად აშერის სოფლისა; ერთს ძლიერს და დიდს ირემს გამოუდგნენ ძაღლები და ის გადახტა ერთის ბაღის ღობეზე და საშიშრად დასჭრა მუშა რომელიც მაშინ ჰკრეფდა იქ ყურძენსა კოროლმა შეაყენა ნადირობა და მუშა ჩააბარა თავის ექიმსა ერთის წამის შემდგომ კარეტით მოვიდა იქ მარიამ ანტუანეტაც, ნახა მტირალნი ცოლი

და შჳლები მუშისა, შეიტყო მიზეზი იმათის მწუხარებისა, მივიდა, იმათთან მისცა ქისა ფულით სავსე, დაუწყო იმათ ალერსი, დაიწყო იმათთან ტირილი, ჩაისხა თავის ეკიპაჟში და წაიყვანა აშერის სოფელში ეს შემთხვევა არის გადახატული მშჳენიერ სურათათ

როდესაც მარიამ ანტუანეტა შეიქმნა კოროლევათ, ის ხშირათ აკეთებინებდა ფონტენებლოში სადილებსა და ვახშმებსა: რომელზედაც იმან პირველათ მიიწვია კაცნი, რომელნიც არა სწარმოებდენ მეფის შთამომავლობათაგან.

ლუდოვიკ მეთექვსმეტემ მოაწერა ხელი ფონტენებლოში **1786** წელსა ძრიელ დიდს პირობას თავის მეფობაში; ეს იყო პირობა ვაჭრობაზედ და ზღვაში ცურვაზედ შორის ანგლიისა და საფრანგეთისა. იმ პირობით საფრანგეთის დაუბრუნეს დიუნკერხენი

ფონტენებლოს ციხე დარბაზი შეიქმნა ღირსი ბოლოს ნაპოლეონისაც, ფონტენებლო, რომელიც იყო მოწამე სიხარულთა და კეთილ დღეობათა საფრანგეთის იმპერიისა, შეიქმნა ბოლოს ტეატრათ მრავალთა შეცთომათა და უბედურობათა იმავ იმპერიისა და იმის იმპერატორისა. იქ შესრულდენ სხვა და სხვა სამწუხარონი შემთხვევანი: დატყვევება რომის პაპის პიი მეშჳდისა, და საფრანგეთის ტახტზედ ნაპოლეონისაგან უარის თქმისა.

მაგრამ ვინემ რომის პაპა ჰპოვებდა ფონტენებლოში თჳსსა საპყრობილესა, იმან ნახა იქ დიდნი პატივნიც, როდესაც იმან დააგვირგვინა იმპერატორათ მყობადი თჳსი მტერი ნაპოლეონ პირველი.

ნაპოლეონმა ერთის მოქნევით მახვილისა დაარღვია

რესპუბლიკის აღრეულება, დაუბრუნა ფრანციას ლუდოვიკ მეთოთხმეტის დრონი, და უნდოდა მსგავსად დიდის კარლისა, მიეღო გჳრგჳნი იმპერატორისა, ხელთაგან რომის ყოვლად უსამღუდელესისა.

აღადგინა საფრანგეთში სარწმუნოება ქრისტიანობრივი და ტაძარნი, დაუნიშნა რა ხარჯი ანუ ჯამაგირი სამღუდელოთა, იმან მისწერა პიი მეშჳდეს **1804** წელში შემდგომი წიგნი.

«უწმინდესო მამაო!

«ბედნიერი მოქმედება, რომელიც აწარმაკა ზნეობასა «და ხასიათზედ ჩემის ერისა აღდგინებამ ქრისტიანობრი-«ვის სარწმუნოებისამ, მაიძულებს მე გამოვხოვო თქუჱნს «უწმინდესობას, მომცეთ მე ახალი დამტკიცება იმა მო-«ნაწილეობისა, რომელიც თქუჱნ მიიღეთ როგორც ჩემსა, «ისე დიდის საფრანგეთის ერისა დიდთა შემთხვეულო-«ბათა შინა, რომელიც კი ოდესმე წარმოუდგენიათ წე-«ლთ აღმწერელთა გთხოვთ მისცეთ სრული სარწმუნოე-«ბითი ხასიათი წესსა დაგჳრგჳნებისასა პირველი საფრა-«ნგეთის იმპერატორისას ეს წესი მიიღებს ახალსა ბრ-«წყინვალებასა, თუ რომ ის შესრულდება პირის პირ «თქუჱნ მიერ ის მოიზიდავს ჩუჱნზედ და ჩუჱნს ერზედ «კურთხევასა ღუთისასა, რომლისაც ყოვლის შემძლებე-«ლობა განაგებს სვესა სამეფოთა და სახლეულებათა.

«დიდი ხანია თქუჱნმა უწმინდესობამ უწყის გრძნო-«ბანი ჩემნი თქუჱნ ამო, და ამისთჳს ადვილად შეგიძლი-«ანთ წარმოიდგინოთ თუ რა სიხარულით ვისარგებლებ

«მეც ამ შემთხვევით დაგიმტკიცოთ ჩემის მხრითაც
«ახალნი ჩემნი გრძნობანი

«გარდა ამისა ვევედრები ღმერთსა დაიცვას დღენი
«თქვენნი მრავალს წელსა, განსაგებლად დედის ჩვენის
«წმინდის ეკკლესიისა

«ნაპალეონ.»

ამ წერილის საფუძველზედ პიი მეშჳდე გავიდა რომიდამ ბ-ს ნოემბერს, ექვსის კარდინალით, და მივიდა ფონტენებლოში კე-ს რიცხვსა იმავ თვისასა ნაპალეონი გავიდა იმის მისაგებებლათ ცხენით, ის მიეგება იმას ტყეში სენგერემის ჯვართან იქ ჩამოხტა ის ცხენიდამ, ჩაჯდა კარეტაში, ჩაისვა მარჯვნივ პაპა და წაიყვანა ის სასახლეში ორთა წყებათა შორის ჯარებისა და ზარბაზნების სროლისა.

შემდგომ, სამის დღის განმავლობაში, იყვნენ დღესასწაულობითი ვიზიტები, წარდგენანი დიდნი სადილნი. ბოლოს პიი მეშჳდე მოვიდა პარიჟში და დააგჳრგჳნა ორს დეკემბერს ნაპალეონ პირველი და ცოლი იმისი ჟოზეფინა

აუშვეს პარიჟიდამ ჭაერის ბურთი. იმან ორმოცჳსაათში გარდაიტანა რომში ანბავი დაგჳრგჳნებისა, ჟოზეფინა იყო ფონტენებლოს სული. ბედნიერებაში ის განუყოფდა თჳსთა კმაყოფილებათა აქაური მცხოვრებთა, მაგრამ მალე გაგრილდა იმაზედ იმისი ჩინებული ქმარი და მოახლოვებული იყო ცოლ ქმართ დაშორება. პირველი სიტყუა ამაზედ წარმოთქმულ იყო ფონტენებლოში, რამდე-

ნი ცრემლი დაჰღვარა ჟოზეფინამ იმ წამიდამ გვირგვინის დარღვევამდინ!. . .

დასასრულ ნაპალეონმა დაარღვია თავისი ქორწინება ჟოზეფინასთან ნაპალეონ ცდილობდა მოსწონებოდა ახალს თავისს მეუღლეს

როდესაც მარიამ ლუიზა მოვიდა ფონტენებლოში საკუთარს ბაღში ნახა ფიჭვის ხეები, რომელიც აქამომდე დაცულ არიან იმპერატორმა განგებ დაარგვევინა ისინი, რომ მოგონებოდა მისს მეუღლეს გერმანიის ტყეები ნაპოლეონმა შეჰკრიბა თავის მეუღლის ოთახში, რაცკი რამ იყო უპირველესი, მხატვრობისა, ქანდაკობისა სასახლეში, ესე იგი უკეთესნი სურათნი დიდთა მხატვართა: ლებრენიისა, პუსსენისა, ვატტოსი, ბუშესი, ლანკრესი და სხჳათა.

როდესაც პიი მეშვიდე დაბრუნდა ფონტენებლოდამ რომში კმაყოფილებით ანბობდა: მე საფრანგეთში ვეძებდი ქრისტიანობრივს სარწმუნოებას და მართლად ვპოვე ის, როდესაც განვლე საფრანგეთი შორის დაჩოქილთა ერთა.

პაპა ვერ წარმოიდგენდა თუ ისივე ფონტენებლოს სასახლე, საიდამაც ის გავიდა ისეთის დღესასწაულობით და პატივით, შეიქნებოდა იმისთჳს საპყრობილეთ **1812** წელში.

ამ ცხრა წლის განმავლობაში ნაპოლეონმა დაიპყრა ნახევარი ევროპა, დაურიგა გვირგვინები წევრთა თჳსის სახლეულობისა, და მისცა საფრანგეთს ბრწყინვალება დროთა ავგისტოსისა, ლევ მეათისა და ლუდოვიკ მეთო-

თხმეტისა

სხუა და სხუა რიგათ ხსნიდენ განხეთქილებას, რომელიც ჩამოვარდა შორის ნაპოლეონისა და პიი მეშვიდისა ცხად მიზეზათ მსახურებდა სურვილი ნაპოლეონისა განეგდოს პაპის სამთავრო, თვით რომის სამფლობელოშიაც. იმან უთხრა ერთხელ პაპას: «თქუენი უწმი-
«დესობა მართალია ფლობს რომსა, მაგრამ კარგი უნდა
«იცოდეთ, რომ მე რომის იმპერატორიცა ვარ!»

პაპა მოელოდა, რომ იმას დაუბრუნებდენ მიწებსა რომელიც მოსწყვრეს იმისს სამთავროსა, და ამიტომ მიუგებდა ნაპოლეონს, რომ ის არ შეიწყნარებს არა ვითარს უფლებას უმეტეს საკუთრისა; რომ რომის იმპერატორი არ არსებობს. და რომელი რომის ყოვლად სამღვდელო უნდა ეკლესიასთან სცხოვრებდეს მშვდობით.

ნაპოლეონ სწყრებოდა ამაზედ და ემუქრებოდა; პიი მეშვიდე შეუძრწუნებლად მიუგებდა: «თუ რომ თქუენ არ
«შემიწყნარებთ მე რომის მთავრათ, მაშინ მე თქუენ
«არ აღგიარებთ იმპერატორათ მოდით დაიპყარით რო-
«მი; მე არ შეგექმნებით ამაზედ წინააღმდეგი; გარნა
«თქუენი ჯარები მხოლოდ მაშინ შევლენ ციხე დარბაზ-
«ზში წმინდის ანგელოზისა, როდესაც ზარბაზნებით
«დაანგრევენ მისს ჭიშკარსა; შეგიძლიანთ მომკლათ სი-
«ცოცხლეს, მაგრამ პატივი ჩემი განუშორებელი იქნება
«ჩემის საფლავისთანა და მე ვიქნები გამართლებული წი-
«ნაშე ღუთისა! სამჯავროისა და ხალხის მეხსიერებაში»

ნაპოლეონმ უდიერებდა და მრისხანებდა.

მაშინ პაპამ ის განაგდეს ეკლესიისაგან

ეს რას ნიშნავს? დაიყჳრა მაშინ ნაპოლეონმა; მე მრაცხვენ, მგონია უბრალო ლუდოვიკათ: არა! მე ვარ კარლი დიდი და დავამტკიცებ კიდეც ამას!

მართლად ნაპოლეონმა ჩამოართვა რომს სამფლობელონი, მიოლლიხმა დაიპყრა ციხე დარბაზი წმინდის ანგელოზისა. რაჟამ შეიპყრა პაპა და წაიყვანა ფლორენციაში; იქიდამ კი ივნისს **1812** წელსა პიი მეშჳდე შებმანდა ფონტენებლოში ტყვეთ.

საცხოვრებელად დაუნიშნეს იმას ოთახები მარჯუნივ მარმარილოს კიბისაკენ.

იქ მიდიოდნენ იტალიანელთ და ფრანციელთ კარდინალები და ეპისკოპოსები თავის ყოვლად სამღუდელოსთან; ნუგეშს სცემდენ, მწუხარებდენ და ოდესმე სტიროდენ მასთან: «გრწამდეთ და ილოცავდეთ, ეუბნებოდა «იმათ პაპა, ხელ აღპყრილი ცისკენ.»

იმან შეასრულა წირვის წესი ძველს ზალაში, სადაც დაადგმევინა საკურთხეველი წმინდის სატურნინის ეკლესიიდგან, საკურთხეველი ნაკურთხი თომა ბეკეტისაგან. მოსამსახურენი ჰყვანდნენ მიჩენილნი იმპერატორის სასახლიდამ პიი მცირად გამოდიოდა ხოლმე ბაღში სადაც იმასზედ ჰქონდათ დიდი ზედამხედველობა; იმისს ქუეშსაგებს არა ჰქონდა არც ბალდახინი და არც ფარდები ნახევარს დღეს პაპა ატარებდა დაჩოქილი წინაშე ჯუარცმისა და სცხოვრობდა საზოგადოდ როგორც განდეგილი.

როდესაც ნაპოლეონი დაბრუნდა უბედურის ლაშქრობისაგან რუსეთიდამ დანაშთენის თჳსის ჯარებითა, მაში-

ნვე გაუგზავნა პაპას თჳსი ადიუტანტი პირველს იანვარს 1813 წელსა მისალოცავათ დღესასწაულისა შემდგომ მისა ყოველდღე გზავნიდა იმასთან ზედი ზედ სხუა და სხუა პირებთა მოსალაპარაკებლათ ბოლოს ნაპოლეონს მოახსენეს, რომ პაპა თანახმა არის ყოველსავე ზედა, და ით-ს იანვარს, შემდგომ ნადირობისა, ნაპოლეონ უცებ მივიდა ფონტენებლოში და შევიდა პიი მეშჳდის ოთახში მეორეს დღეს ნახა კიდევ პაპა და ცდილობდა ის მოსწონებოდა იმას: დასრულდა მით რომ პაპამ მოაწერა ხელი ფონტენებლოს კონკორდატას, რომლითაც ის იხდიდა საერო მთავრობას, და შთებოდა მხოლოდ სასულიერო პირათ

შემდგომს წელში ნაპოლეონმა, მძლეულმა მტერთაგან დაუბრუნა პიი მეშჳდეს ყოველივე, რაც ჩამოართვა წინეთდამნახველმა, რომ იმასაც ერთმეოდა ყოველივე რაც დაეპყრა

კგ-ს იანვარს 1814 წელსა პაპა განვიდა ფონტენებლოდამ, აკურთხებდა რა ხროვასა ხალხისას შეკრებილსა ფონტენებლოს ეზოში ლა-ს მარტსა იმავ წლისასა ნაპოლეონს მოუვიდა იმავ ეზოში ამბავი რომ მოკავშირენი ევროპიის ხემწიფენი შევიდნენ პარიზში, დაცემა ნაპოლეონ სა იყო რაღაც ლომებრივი, ჩინებული, ისტორიული, არაოდეს არა სჩანდა ის ისრეთ დიდებულ. როგორც იმღამეს, როდესაც დაღალული და დაწყევლილი დაბრუნდა ის ფონტენებლოში და ვითარცა განმაახლებელმან იმავ სასახლისამ სთქუა: ყოველივე დაღუპვილ არს გარდა პატივისა

მეორეს დღეს პარიზში გადასწყვიტეს ნაპოლეონის ტახტიდამ გადმოგდება. როდესაც იმან შეიტყო ეს ანბავი, შეჯდა ცხენზედ და ითხოვს შემწეობას დანაშთენთა თჳსთა მამაცთ მხედველთაგან, მაგრამ იმისი ღენარლები ითითო, თითოდ უტევებდენ თავის მბრძანებელსა. სხჳტბმა იმასთან წარმოსთქვეს სიტყჳები, რომელნიც მოასწავებდენ ცხადად იმის დაცემას: «რაღა დროსია, გათავდა ყოველივე:» გაიგონეს ეს სიტყჳებიც, რომ საჭიროა უარის ყოფა ტახტზე: ნაპოლეონს ესმის ეს, ასხამს ცივს ოფლსა და ფერმკრთალი ჰკითხავს:

განა ეგ არის სურვილი მთელის საფრანგეთისა?

დიაღ! მიუგებენ იმას დაღალულნი მარშალნი.

მხედრობისაც?

დიაღ! მიუგებენ იმას გვალად.

კარგი მე უარს ვყოფ ტახტსა სასარგებლოდ ჩემის შჳლისა სთქჳა იმან ბოლოს; მარშალმა ნეიმ გარდასცა მოკავშირეთ ხელმწიფეთ წინადადება იმპერატორისა და თავ გამოდებით იცვაჳდა იმას წინაშე მათსა, მაგრამ ყოველივე შეიქნა უსარგებლო, უდროო.

გერცოგის რაგუზის კორპუზს ჩამოეგდო ნაპოლეონის უკითხავათ მოკავშირე ხელმწიფეებთან სხჳა და სხჳა პირობები, და ამიტომ ნეი დაბრუნდა შეწუხებული პარიჟიდამ და მოახსენა ნაპოლეონს, რომ იმისი შემკვიდრე არაოდეს არ იქმნება იმპერატორათ ფრანციისა, და თჳთ ნაპოლეონიც რჩება იმპერატორათ მხოლოდ ელბის კუნძულისა ესრეთი იყო იმდროს გარდაწყვეტილება მოკავშირე ხელმწიფეთა!

ამ დროს მოხდა უკანასკნელი რჩევა ჩინებულს და ის-ტორიულს ფონტენებლოს კაბინეტში, რომელიც აქამომდე წოდებულია კაბინეტად ტახტზე უარის ყოფისა. იმპერატორმა გახსნა რჩევა და ჩვეულებრივ ლაპარაკობდა ძლიერათ და დადიოდა გრძელის ნაბიჯით.

«ესრეთ მე მივლიან დამარცხებულათ, სთქუა აქ ნაპო-«ლეონმა, ამიტომ, რომ ერთმა ჩემმა სარდალმა დამიტევა «მე! ჰგონებენ, რომ მე სხუა ღონე აღარა მაქუს რა! «კანა მე არ შემიძლიან, რომ შევკრიბო მხედრები ევგე-«ნიისა, სულტისა, სიუშესი, ოჟეროსი, დავუცე ლუარას, «და კპოვო მუნ აუსტრიის ხრმალი, ანუ მძირათ გავ-«ყიდო გჳრგჳნი და სიცოცხლე!»

სულ ომი და ომი! მიუგებენ დაღალულნი ომისაგან მარშალნი; თქუენ აღარა გყავთ ჯარები ხემწიფევ! უწინ თჳთეული ბრძოლა ანუ გართმევდათ, ანუ გაძლევდათ ახალს გჳრგჳნსა, ნუ თუ თქუენ გნებავთ დაასრულოთ თქუენი დიდი როლი უფროსათ ვითარისამე პარტიისა (ნაწილისა)? ნუ დაივიწყებთ ხემწიფევ, რომ საფრანგეთს სწყურის მშჳდობიანობა, განსვენება!...

მაშ წავიდეთ საფრანგეთიდამ იტალიაში. იქ ისევ ახსოვთ არკოლი მარენგო! აბა ვისა სურს გამყვეს მე?

აქაც ყველანი მდუმარებენ.

მაშინ ნაპოლეონმა შესძახა: თქუენ მდუმარებთ, მესმის კარგათ; თქუენ ეძებთ მოსვენებას, კარგი, მოისვენეთ! მაგრამ თქუენ არ იცით თუ რა მწუხარებანი მიგელიან თქუენს რბილს ბუმბულის დოშაკებში!..

შემდგომ ამისა ნაპოლეონ მიუჯდა სტოლსა და მტკი-

ცის ხელით დასწერა შემდგომი სტრიქონნი:

«მეკავშირეთ ხემწიფეთ განაცხადეს, რომელ იმპერატორი ნაპოლეონი შეადგენს დაბრკოლებას აღსადგენელად ევროპაში მშვიდობიანობისა; ამისათჳს იმპერატორი, ერთგული თავისის ფიცისა, განაცხადეს, რომელ ის უარს ჰყოფს ტახტსაზედა საფრანგეთისა ეგრეთვე იტალიისა როგორც თავისა თავისათჳს, ეგრეცა მემკვიდრეთა თჳსთა; რომ არა არისრა არა ვითარი მსხვერპლი, რომელიც იმან არა შესწიროს კეთილდღეობისათჳს საფრანგეთისა»

მერე მისცა სრული ნება ნეის, კოლენკურსა და ტარენტის გერცოგსა რომ ჩამოეგდოთ მეკავშირე ხემწიფეებსათან სხუა და სხუა პირობები მისედვისამებრ მათისა.

რამოდენისამე ხნის შემდგომ იმას მოუტანეს ტრაქტატი ია-ს აპრილისა, და აი რა იყო განსაცჳფრებელი! ნაპოლეონი აღარ აპირებდა იმაზედ ხელის მოწერას.

ღამით იბ-ს რიცხუსა, სწერს უ—ფენდე მყუდროება სასახლეში დაირღვა გაცხარებულის სირბილით, სასახლის მოსამსახურენი მოუწყვეტლად არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეებზედ; ბოლოს აანთეს სანთლები; ყველა კამერდინერები იყვნენ ფეხზედ, ურახუნებდენ ევანის ექიმის კარსა, მორბიან გერცოგ ბასანოსთან, რომელიც სცხოვრებდა კანცელერიაში; ყველანი მოვლენ და გამოსცხადდებიან საწოლს ოთახში, ყველას უნდა შეიტყოს რა ამბავია; ყველას ყური აქჳს მიდებული კარებზედ, სადაც ნაპოლეონი იწვა; ისმოდა იმ ოთახიდამ მხოლოდ კვნესა და ტირილი უცებ გამოვარდება ექიმი ევანი, გავარდება

სასწრაფოთ ეზოში, ნახავს იქ დაზმულს ცხენს, შეახტება ზედ და სადღაც გააჭენებს, ასე რომ ღრმა საიდუმლოთ დაჰფარა შემთხვევა იმ ღამისა.

აი როგორ ახსნეს შემდგომ ის შემთხვეულობა: როდესაც ნაპოლეონ გამოიქცა მოსკოვიდამ, იშოვნა ყოვლის შემთხვევისათჳს საშუალობა, რომ ცოცხალი არ ჩავარდნოდა მტერს ხელში; იმან გამოართვა თავის ექიმის ევენის პატარა პარკით ოპიუმი და ჰქონდა იმას ვინემ იყო საშიშარს მდგომარეობაში; მერე დიდის გაფრთხილებით ჰქონდა იმას ის შენახული მივარდნილს უჯრაში თავისის პორტფელისა. იმ ღამეს ნაპოლეონს ეჩვენა მიუცილებლად მიეშართნა იმ ღონის ძიებისათვის; კომერდინერმა იმისმა, რომელიც იწვა მეორეს ოთახში, დაინახა რომ ადგა. ნაპოლეონი ღამე, გახსნა რაღაც სტაქანში, დალია და ისევ დაწვა ქვეშაგებში. ტკივილმა მალე მოაგონა ნაპოლეონს მახლობელი სიცოცხლის დასრულება, და აქ უბძანა შეეკრიბათ ყოველი მახლობელი იმისი კაცი. იმაი რიცხვში ევენიცა ამან როცა შეიტყო ყოველივე წვრილათ ჯერ გარეტიანდა და მერე საჩქაროთ გავარდა ფონტენებლოდამ შემდგომ ნაპოლეონს დაეძინა, როგორს მკუდარს. იმ ძილში დაასხა იმას დიდმა ოფლმა და ტკივილი დაუცხრა; საშიშარნი ნიშანნი მოწამლვისა განქრენ ანუ ამისათჳს რომ ნაპოლეონს მიეღო მცირე ოპიუმი ანუ პარაშოკს დაეკარგა თავისი ძალა დროისაგან; ამბობენ როდესაც ნაპოლეონს გამოეღვიძა დაიყვირა განკჳრვებით და სთქუა: «თჳთ განგებას არ უნდა ჩემი სიკუდილი?» და გარდაწყვიტა სულგრძელებით დამორჩი-

ლებოდა ახალს თავის სვეს, და ბოლოს ძილით იგის რიცხვს ადგა ნაპოლეონ და ჩაიცვა ჩვეულებრივათ ტანთა და მოაწერა ხელი პირობის წერილსა!

როდესაც ყოველივე დასრულდა, ნაპოლეონი შევიდა თავის ბიბლიოტეკაში, აირჩია წიგნები, კარეტები, დანიშნა ამხანაგნი თავის განდევნულობაში, დრუო, ბერტრანნი და კამბრონნა, ექჳსი მცირე მხედარი, რომელნიც მზაიყვნენ წაჰყოლოდენ იმას ხმელეთ გარეთ. მერე ჩავიდა ეზოში სადაც ცრემლიანი ელოდენ იმას ღრენადერები (მეომარნი) და სხჳანი თანა მოღჳაწენი მისნი. იქ იწყო იმ ისტორიულმა ჩინებულმა გამოთხოვებამ, რომელიც შეიქმნა შემდგომში საეროთ და გარდავიდა სურათებზედ. ნაპოლეონი ურჩევდა მხედართა ერთგულათ სამსახურსა ახალის კოროლისას, და აღუთქჳა დანაშთენი თავისის სიცოცხლისა მოეხმარა აღწერაზედ იმა ღვაწლთა, რომელნიც იმათ ერთათ შეასრულებინათ. ბოლოს რადგან შეუძლებელი იყო, რომ ყველა კაცი ცალკე მიეკრა გულში და დაეკოცნა, იმან აკოცა იმათ არწივსა და ბაირახსა და ჩაიხუტა გულში ღენერალი იმათი პეტი, რომელიც ის ისტორიაში იმან უკჳდავ ჰყო თავისის კოცნით.

ღენერალმა დაიხსომა უკანასკნელი სიტყვები ნაპოლეონისა და შემდგომში გარდასცა ისინი მთელს ქჳეყანას; აი ეს სიტყვები:

«აფიცრებო, უნტერ აფიცრებო და მეომარნო ძველის გვარდიისანო გეთხოვებით მე თქჳენ!»

«ოცის წლის განმავლობაში მე ვიყავი თქჳენგნით კმაყო-
«ფილი და ბედნიერი; ყოველთჳს გპოებდით ხოლმე გზასა

«ზედა დიდებისასა? თქუჱნთან და იმა მამაცთა თანა «რომელნიც მე შემრჩენ ერთგულათ. შემეძლო კიდევ მე«ომრა სამს წელიწადს მაგრამ საფრანგეთი იმით იქნე«ბოდა უბედური, ეს იქნებოდა წინააღმდეგი ჩემის სუ«რვილისა. იყავით ერთგულნი ახლის საფრანგეთის ბრძა«ნებულისა? ნუ იწუხებთ ჩემთჳს; მე ვიქნები ბედ«ნიერი, როდესაც შევიტყობ, რომ თქუჱნა ხართ ბედნი«ერნი მე აღვსწერ ჩუჱნს საქმეებს.» მერე იმას შეუდგა ფრქუჱვა ცრემლთა, და მიეცა მრავალნი სასოწარკვეთილებითი მწუხარებანი.

შემდგომს **1815** წელსა, იმავე მხედართა, იმავე ადგილს, მიულოცეს ნაპალეონს იმპერატორობა, როდესაც ის დაბრუნდა ელბის კუნძულიდამ, და ხელში აყვანილი წაიღეს ის ფონტენებლოდამ ტიულერში, მაგრამ ყველამ უწყის ის სიხარული არ იყო გრძელჟამიერი და დასრულდა იმით, რომ შემდგომში ნაპოლეონი გაგზავნეს ელენეს კუნძულში,

ამით სრულდება უკანასკნელი თავი ფონტენებლოს წელთ აღწერისა ლუდოვიკ მეთვრამეტემ უბძანა ამოეჭრათ იმ სტოლზედ, რომელზედაც ნაპოლეონმა უარჰყო საფრანგეთის ტახტზედ წილი, თვე და რიცხვი თავისის ტახტზედ ასვლისა. კარლ მეათე მიდიოდა ფონტენებლოში სანადიროთ.

ლუდოვიკ ფილიპემ ჯუჱარი დასწერა ფონტენებლოში თავის უფროს ძესა და დაუბრუნა ეს სასახლე ხელოვნებას. სახელი იმისი დაუვიწყარი იქნება ფონტენებლოში როგორც სახელები: ფრანცისკე პირველისა, გენრიხ მეორისა და ლუდოვიკ მეთოთხმეტისა.

გ. დიდებულიძე.

## მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან.

ბულ-ქჳსარ, დროა აწ. გვითხარ:
როდემდის უნდა გვაწვალო?
ვინა ხარ? სიდან მოსულ-ხარ?
ან რა სჯულის ხარ, მტარვალო?. .
კისერს გვხეხ მძიმე უღელით,
გვაყრუვებ მაღლის ხმითა,
და ქრისტეს, ქრისტეს სახელით,
ქრისტიანი ჰგმობ საქმითა!. .
იუდას კანონით ჰსაქმობ!. . .
პილატებრ გვაძლევ ჩჳენ ზაკვსა,
და ჯჳრის სახელით, ჯჳარსა ჰგმობ:
ჯჳარს აცვავ ჯჳრისა მმოსავსა.
ჩჳენს კანზედ ჩჳენივე სისხლით
კანონი დაგიწერია!. . .
პილატებრ იბან შენ ხელს წყლით
და ხორცს გვგლეჯ ვითა მგერია! . .
ჯერ ჩჳენის ხორცითა მძღები,
სისხლითა იკლავ წყურვილსა! . ,

და ჰფიქრობ: ვითა «უძღები»
მერე ვიქმ ღჳთისა სურვილსა!. .
მაგრამ შენს კანონს არა ჰგავს
კანონი იმ ჯჳარცმულისა:
არ გაათეთრებ ტყჳლათ შავს,
ხარბი არ არის ფულისა!. .
მაღლით ხმა გვესმის: «ითმინე»
გლეხო, აწ გიხსნის უფალი!»
—გეძახის მსაჯულს: «ისმინე,
გამოახილე შენც თვალი!»
«ძმა ძმას ნუ აღრჩობ ძმის ხელით
კაენის შავ გულის თქმითა
და ქრისტეს, ქრისტეს სახელით
ნუ ჰგმობ იუდას საქმითა:—

თ. აკ. წერეთელი.

---

## ჩიჯავაძის კნეინას ელენეს გარდაცვალებაზედ.

ოცნებით ვნახე მშჳენიერი ტურფა ქმნილება,
აყვავებული სიკეკლუცით, გულთა ლხინება;
განვკრთი შვენებას და ვიოცე მის მოვლინება,
მსწრაფლ მიმეფარა და მიკვირსცა ესე ცვლილება!
მიკვირს რა ვნახე იგი ნაზი, ტკბილი არსება,
მშჳდი, გულ წრფელი, ლმობიერი ჭირთა დავსება;
წყნარ მოუბარსა, მონარნარეს ვინ ჰკადრა ვნება?

მის წარმომდგენელს გული, — გრძნობა სრულად მიგჰდება.

ოცნება იყო თუ ნამდვილად ვიხილე ისი?
და აღვიარე ერთგულება საკუთრად მისი.
თჳთ დამაფიცა საუკუნოდ ვიყო მე მისი,
ამიერიდგან მეგობრობა აღარ ვჴსთქვა სხვისი
აწ სად განჰქრა ესე მტკიცე კავშირი თჳსი,
სად განამგზავრა ენა ტკბილმა, გრძნობათ თჳსი?
სად არს სინაზე და სიტურფე მაშვენი მისი?
სადღა ვიხილო და ვისმინო ტკბილი ხმა მისი? —
ნუ თუ არ არსებს უკვე მასში ნიჭიერება,
გულის სიმშვიდე, სიყვარული, გრძნობიერება? ..
თჳსის მოყვრითი ლამობდა კეკლუცთა კრება,
ცრემლი გვიტოვა სანუგეშოდ მით მოკვეცა გრება.

ნინა აბაშიძის-ასული.

**1861** წელსა იანვრის **7**-ს

---

## კნეინა ელენეს საფლავის ნახვაზედ.

მოველ, ვიხილე სამარე. სად შენ სდგურებ მდებარე.
გკითხამ რას იქ სტროფოთ, რათ არ ხარ ისევ მგრძნობარე.
შენს ნაზს გულზედ ლოდსა ვხედამ, მით ვარ ცეცხლ მომდებარე,

გულ უმანკოვ გრძნობით წმინდავ, უნდობ მიწას მიე-
ფარე?..
არ ამძიმებს შენს ნაზს სხეულს ეს უწყალო ლოდთა
გროვა.
ნუ იშიში, შენც აღგადგენს ოდეს მხსნელი ჩჳენდა
მოვა;
მისთჳს მსწრაფლად მიგითჳსა, ღირსეულად რომა გპოვა,
ჩჳენ კი მარად დაუვიწყრად ცრემლითა გვაქჳს შენი ხსოვა..
როცა მეც მხვედრი მომიყვანს სამწუხაროს შენსა ბინას,
ნეტარ ვიცოდე, ელენე, იცნობ თუ ვეღარ შენს ნინას!...

ნინა აბაშიძის ასული.

ქ. ქუთაისს.

## კოლხიდა რომაელების ფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში ყაენის ქასრესი.

(დასასრული.)

ზამთარი **552** (ხუთას ორმოც და თორმეტისა) წლისა გავიდა კერავს ქასრეს, რომელიც დაუზავა იუსტინიანეს, რაისათჳს მიიღო იმისაგან დიდი საფასე, არ შეუცვლია იმისი ჴაზრი ლაზიკაზე, და იუსტინიანესაგან მიღებულის ფულითა იქირავა მხედრობანი ალანთა, ჴუნთა და სხუათა. მერმე მოსცა ბრძანება მერმეროეს, რომ რაც შეგეძლოს დაუჩქარე შენს საქმესა. მაშინ ამან მიმართა ციხეებსა, იწყო ბანაკიდგან, სადაც რომაელები და გუბაზე კვალად შეურილ იყვნენ. მაგრამ ვეღარ მისწვდა იმათ; ის შემოადგა ერთს ციხეს, რომელშიაც გუბაზის და შესულიყო და გაემაგრებინა ციხე. მაგრამ იქ ყოჩაღათ დახჳდნენ იმას და დააბრუნეს; შემდეგ ამისა წავიდა აფხაზეთში, მაგრამ წიბილუმისა და ფანაგობიის გარნიზონებმა უკანვე აქციეს; ბოლოს მოინდომა არხეოპოლისს დასხმა, მაგრამ აქაც გაწბილდა. დაქანცული ამდენის უსარგებლო მოძრაობითა, დაბრუნდა მსწრაფლად უკან და მიმართა ქუთაისს და მუხერისს. მაშინ რომაელები დაედევნენ უკან და გაუწყვიტეს მრავალი ჯა-

რი. მუხერისს უწოდებენ არათუ მხოლოდ იმ კაკე ადგი-ლსა, რომელი მდებარებს რიონსა და ცხენის წყალს შუა აგრეთვე ციხესაც, რომელი იყო ამ მხარეზე, რიონის პირზე. მარჯჳენივ ეს ციხე და ქუთაისი განამტკიცებს ერთს დროს სპარსებმა. ნაცტამლები ამ ციხისა ახლაც შესანიშნავი არიან. იმას ახლანდელი იმერლები უწოდე-ბენ ციხე დარბაზს, ანუ თამარის ციხეს, რომელი არის გეგუთის ციხე.

553 (ხუთას ორმოცდა ცამეტს) წელში მერმეროემ ძვალად განიზრახა განახლება ომისა რომაელებს ამ დროს ეჭირათ ერთი მაგარი ციხე რიონის სამხრეთით, გური-ის სამზღვარზე, სახელდობ ტელეფა, რომელი იდგა და-ზიკაში შემოსავალს გზებზე. სამხრეთითა სანახები ამ ციხისა იყვნენ მოცულნი ხშირის ტყეებითა და ჭაობა-ებითა, მარტინი, ამხანაგი ბასსასი, ჩადგა იმაში ერთის ნაწილის ჯარითა და დიდის მეცადინეობით აქოლვინებდა ქვებითა და ხეებითა შესავალს გზებსა.

მერმეროემ ნახა რომ ცხადის ძალით ვერა რას გახ-დებოდა, ამისათჳს მოიგონა მძიმედ ავადმყოფობა რო-მაელებმა, ჰსცნეს რა ყალმობა მტრისა, თავი ანებეს ცი-ხის მაგრობას და გაერთვნენ შექცევაში, მერმეროე, რო-მლისა თითქმის სიკჳდილის ხმა დაყარეს ერთბაშად გა-მოეცხადათ, მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ ასეთი ზარა-რი დასცა რომაელებს, რომ მსწრაფლად დასცალეს ციხე და გაიქცნენ თავიანთს ბანაკში, რომელი იყო იქიდან შჳდის ვერსტზე მთებში, მარტინმა ჩამოიტოვა უკან 500 (ხუთასი) ჯანი ზურგის სიმაგრისათჳს, ამათ აც-

ნოზეს მტრის მოახლოება იმ რომაელებს, რომელნი იყვნენ გაგზავნილნი სათარეშოდ ლაზების სოფლებში, თავ ლასხმა ისე მწრაფლი იყო, რომ აფიცრებსა და სალდათებსა აღარ ჰქონდათ გარჩევა ისე არ გავიდნენ კუნძულზე, რომელი იყო იქიდან ოც და ერთს ვერსტზე. ეს კუნძული რიონსა და ფიჩორას შესართავში იმას ჰქონდა რომაელებისაგან გაყვანილი თხრილი, რომელშია შედიოდა რიონისა და ფიჩორს წყალი ეს თხრილი დღესაც ჰსჩანს, რომელსა ეძახიან ნადორთასა, და არის ცოტა სოფლის ჭალადიდის ქვემოთ, **16** (თექვსმეტს) ვერსტზე ახლანდელ ფოთზედ, აქ ერთი დიდი კუნძული განყოფდა რიონს ორ ნაწილად

მერმეროემ აიღო ბანაკი რომაელებისა და იცინა ბევრი იმათ მხდალობაზედ, მაგრამ შებმა მათი კუნძულზე ველარ გაბედა, ამისათვს რომ ეშინოდა სარჩოს შემოკლებისა

გავიდა რიონს გაღმა და მიმართა ონოგურისის (ხონის) გარნიზონის განსამლიერებლად, ეს ციხე დაიპყრო იმან, რომელსა ჰქონდა, მისის აზრით, დიდი მნიშვნელობა, ამისათვს რომ იმის მქონს არხეოპოლისი (ნოქალაქევი) ეყოლებოდა შიშ ქვეშ

მე ზემო მოვიხსენე თუ რა შემთხვევის სახსოვრად ააშენეს ლაზებმა ციხე ონოგურისი (ხონი) და ეკლესიაც წმინდა ეგთიმეს სახელზედ. ონოგურისი, დღეს ხონი, იყო მდებარე ცხენის წყლის მხლობლად, მარცხნივ და ფლობდა გზასა უპირველესსა, რომელი ყოფილა ყოველთვს და არის აქამომდე ქუთაისსა და არხე-

ოპოლის (ნოქალაქევს შორის.)

ეს იყო უკანასკნელი ლაშქრობა მერმეროესი. იმან დასტოვა უმეტესი ნაწილი თავის ჯარისა მწყემსად ლაზიკისა და თჳთან გარდავიდა იბერიაში (საქართველოში), სადაც მოკჳდა. სპარსების სარწმუნოებისა მებრ რომელნი არ ასაფლავებდენ მკჳდრებსა, გარნა გაიტანდნენ ქალაქს გარეთ და მისცემდნენ შესაჭმელად ძაღლებისა და ფრინველებისა: მერმეროეც გაასვენეს ამ წესითა, ის იყო საუკეთესო სპასალარი სპარსეთისა, ამისათჳს ყეენი ქასრე დიდათ შეწუხდა. რა რომ მიიღო ცნობა მისის სიკჳდილისა. მაშინ მისცა ქასრემ მხედართ-უხუცესობა ნახორაგანს, რომელი იყო წარჩინებული იმისი კარის კაცი.

გუბაძე დიდად ემდურებოდა რომაელების ღენერალებს იმათის ცუდის ყოფა-ქცევისათჳს, რომელიცა აცნობა იმპერატორს იუსტინიანეს, ბასსას ჩამოართვეს ყოველი იმისი ქონება და გაგზავნეს პატიმრად აფხაზეთში თუმცა იმპერატორი მარტინზედაც იყო განრისხებული, მაგრამ არ არის უწყებული, თუ რა მიზეზისათჳს მიანდო იმის ჯარის სარდლობა.

ღენერალს მარტინს ჰქონდა მიზეზი რომ ძულებოდა გუბაძე, რომელიც არ ზოგავდა არც იმას და არც სხჳა ღენერლებს და აძაგებდა ხან იმათს უზრუნველობას და ხან სიხარბეს. მარტინმა განიზრახა დაღუპვა გუბაძისა. ამისათჳს გაგზავნეს იმპერატორთან იოვანე, რუსტიკის ძმა, ლაზიკის არმიის ხაზინადარი, დასაბეზღებლად გუბაძისა. ამ გაგზავნილს უნდა მოეხსენებია იუსტინიანისათჳს, რომ ვითომ გუბაძეს ჰქონოდა მოლაპარაკება სპა-

რსეთთან და დაპირებიეს ლაზიკის მიცემას, თუ რომაელებმა საჩქაროდ არ მიიღებდენ საშუალობას ამ საქმეზე, იმპერატორი უსაზომოდ შეაძრწუნა ამ ამბავმა, მაგრამ სრულებით კი არ დარწმუნებულა იმათ სიტყვებზე. ამისათჳს ბრძანა: მე თჳთან უნდა გამოვიძიო ეს საქმეო და გუბაზე გამომიგზავნეთო. უარი რომ ჰსთქვასო? ჰკითხა დამბეზღებელმა ძალა დაატანეთო, უბრძანა იუსტინიანემ, და გამოაყოლეთ მაგარი ყარაულიო. წინააღმდეგობა რომ მოიხმაროს, მაშინ რა გვმართებსო? მოახსენა დამბეზღებელმა. მაშინ, ჰსთქჳა იმპერატორმა, ღირსი იქმნება მოექცეთ იმას, ვითარცა მოღალატესაო. მაშ ნება გვქონია რომ მოვკლათო? ჰკითხა იოვანემ. დიახო, უბრძანა იუსტინიანემ. მაგრამ ეს საშუალობა უნდა მოიხმაროთო. მაშინ, როდესაც იმისი ღალატობა ნამდვილად აღმოჩნდესო, იოვანემ მიიღო წიგნებიც იმპერატორისაგან ამ აზრზედ მოწერილი ღენერლებთან და წამოვიდა ლაზიკაში.

წაიკითხეს რა ეს წიგნები, მარინს და რუსტიკს ეგონათ რომ სიცოცხლე გუბაზისა იმათ ხელთ იყო. მხოლოდ საქმე ის იყო რომ, რაღაც ფერად იქნებოდა, ამოეჩინათ იმისი ორგულება რამე საქმეში. წაიყვანეს თან რამოდენიმე მხედრობა და წავიდნენ გუბაზესთან, ვითომ სათხოვნელად რომ მისცეს იმან შემწეობა რომაელების ონოგურისის (ხონის) ციხის აღებაზე; მაგრამ აზრი კი სხჳა იყო: რომელიც არ გაუმჟღავნებიათ მხლებლთათჳს

გუბაზემ, რომელიცა იყო იმ დროს სამეგრელოში, ჰსცნა რა იმათი წამოსვლა, წამოვიდა იმათ მისაგებებლად

და მოვიდა ხოფის წყალთან ისინი შეიყარნენ სოფლის ხორცას მახლობლად

რადგან გუბაძეს არავითარი ეჭვი არა ჰქონია მათზე, არც არაფერი თავდარიგი დაეჭირა როგორც რომ შეიყარნენ იმ წამსვე იწყეს საუბარი, ასე რომ ცხენებიდანაც არ ჩამომხდარან პირველად ჭაუსტინმა იწყო ლაპარაკი და უთხრა გუბაძეს რომ შემწყობა უნდა მოგვცე ონოგურისის (ხონის) ციხის აღებაზედაო; სირცხვილი არის ჩვენთვის რომ ეს ციხე უჭირავს ცოტაოდენს მტერსაო ლაზიკის მეფემ უპასუხა, რომ სპარსების გამარჯვება ამ ქვეყანაში არავის ბრალი არ არის თუ არა რომაელების დენერლების უზრუნველობისაო; ეხლა თქვენ იცით. როგორც მიეცით ციხე მტრებსა, ისე თქვენვე აიღეთო; ხოლო მე, მინამ თქვენ მეფობას თქვენვე არ გაასწორებთო. მე არაფერს საქმეში არ გავერევიო: რომაელებს ეგონათ რომ ეს უარის თქმა საკმაო იყო გუბაძის ორგულობის დასამტკიცებლად და იოანემ, იმისმა დამბეზღებელმა. იმ წამსვე უბრძანა იმას მკერდში ხანჯალი თუმცა გუბაძე არ იყო სასიკვდილოდ დაჭრილი, მაგრამ ცხენიდან მაინც კი გადმოვარდა. ამისათვის რომ იმ დროს იმას ფეხი ჰქონდა უნაგირის თავზე გადმოდებული და თავი ვეღარ შეიმაგრა, მაშინ მიესივნენ დენერალის რუსტიკის მხლებლები და შეუსრულეს ეს საცოდავს გუბაძეს რაც აკლდა, რომაელთ აფიცერი რომელნი არ იყვნენ განზრახვებულნი ამ საქმეზედ უნდოდათ მიშველება გუბაძისა, მაგრამ იმათ უთხრეს რომ იმპერატორის ბრძანება არისო, და რაღა გაეწყობოდა, დაცხრნენ.

ამ სამაგელმა მხედრობამ უსაზომოდ შეაწუხა მთელი ლაზიკას მხედრობა, რომელიც მოვიდა დიდის მოწიწებით და წაიღო გვამი თავიანთის მეფისა და დამარხა როგორც იმის წოდებას შეეფერება. შემდგომ ამისა ლაზებმა მიაწერეს უკანასკნელს ასეთ წარმკვეთილებაში და გასწყვიტეს ყოველი კავშირი რომაელებთან, ვითარცა კაცის მკვლელებთან.

მარტინმა დაასკვნა დაუყოვნებლივ ონოგურისზე მისვლა ის იმედოვდა გამარჯვებისა რომლითაც დამალავდა თავის სამხედროს დანაშაულობის წარმოებას. ამ დროს ჩაიგდეს ხელში ერთი სპარსის მხედარი რომელიც დადიოდა რომაელების ბანაკის მახლობლად მზვერავად. და მისცეს ის წამებაში ის გამოტყდა, რომ ნახორარგანმა გამოუგზავნა გასამაგრებლად გარნიზონისათა; რომ თვითანაც რომელიცა ახლა არის იბერიაში (საქართველოში) მალე მოუმატებს დიდის ჯარითა; ამას გარდა სთქვა კიდევ, რომ **3000** სამი ათასი სპარსები, რომელნი დგანან ბანაკად მუხურისში მოდიან ციხის გასამაგრებლათ. ეს რომ შეიტყეს, შეუდგათ რჩევა რომაელებს, თუ რა უნდა ექმნათ. ბოლოს გარდასწყვიტეს, რომ უნდა გაეგზავნათ **600** (ექვსასი) კაცი **3.000** (სამიათასის) სპარსის მისაგებებლად და სხვების კი უნდა განეგრძოთ ციხის ალება დიდის მეცადინეობითა, **600** (ექვსასის) რომაელის მიგებება სრულიად მოულოდნელი იყო სპარსებისათვის ამისათვის შეკრთნენ და გაიქცნენ ამ ამბავმა მოაწია ონოგურისამდინ, მაშინ იქ მყოფს რომაელებს, ეგონათ რომ გარედგან მტრისაგან უმამარნი

იყჳნენ, ამისათჳს უფრო მეტად შეაიწროეს ციხე, მაგრამ ცოტახანს უკან სპარსებმა ლტოლვის დროს შეამჩნიეს რომაელების ცოტაობა. მაშინ დაუბრუნდნენ მტრებსა და ერთბაშად ეკვეთნენ იმათ. რასაკჳრველია ესენი ვეღარ დაუმაგრდნენ სპარსებსა, რადგან ცოტანი იყჳნენ, და დაიბრუნეს პირი თავიანთ ბანაკისაკენ, რომელშიაცა მტრებმა და მოყვარემ ერთიანათ ჩასცვივდნენ. იქ მყოფთა ვეღარ გაარჩიეს ვერც თავისიანი და ვერც სხვისნი; გონათ რომ მთელი სპარსის ჯარი შემოგვესიაო. მაშინ ამათ დასტოვეს ბანაკიც, მაშინებიც და გაიქცნენ. რომელთა გამოუდგნენ სპარსები, ამათ მიემატათ გარნიზონიც. რომაელების კავალერიამ თავს უშველა, მაგრამ ქვეითი ჯარი ძლიერ დამარცხდა, ნამეტნავად ვიწრო ხიდზე, რომელი იდგა ცხენის წყალზე. საიდგან ხალხი, ვიწროობისაგამო, ზოგი მისცვივოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ და ზოგთა ხოცდნენ უწყალოდ სპარსები. ბუზემ, რა რომ ნახა ასეთი გაჭირვება რომაელებისა, დაბრუნდა თავის კავალერიით და დაიჭირა ერთი თავი ხიდისა და ამ სახით მოარჩინა დანაშთენი ჯარი. რომაელებს ჰქონდათ სარჩო და ბარგი დატოვებული ბანაკში არხეოპოლისის მახლობლად, იქ წასვლის მაგიერად, შიშით შეპყრობილებმა, მიმართეს ტყეებს და მთებს. მაშასადამე სპარსებმა ჩაიგდეს ხელში ეს ბანაკი და შემუსრეს სანგრები იმისი 50 000 (ორმოცდა ათი ათასი) რომაელი დაამარცხა და განჶანტა 3,000 (სამმა ათასმა) სპარსმა. სირცხვილი რომის ღენერალებისა იყო გამოუთქმელი და ლაზერიკი ხედავდნენ ამაში ღჳთის რი-

სხუას იმათზე გუბაზის მოკჳლისათჳს.

წარჩინებულნი ლაზნი შეკრბენ ერთს ადგილზედ და არჩიეს თუ რა მართებდათ იმათ. რადგან ლაზები მტკიცედ იდგნენ ქრისტიანობაზე, რომაელების პარტიას დარჩა კიდევ უპირატესობა და კიდევაც ამოარჩიეს რაოდენიმე პირნი გასაგზავნად იმპერატორთან საუწყებლად მისდამი გუბაზის სიმართლისა და მარტინისა და რუსტიკის უზაკჳრობისა, იმათ უნდა ეთხოვნათ კეისრისათჳს, რომ დაესაჯა ბოროტმოქმედნი და, ამას გარდა, მოეცა იმათთჳს მეფეთ წათე, უნცროსი ძმა გუბაზისა, რომელი ცხოვრებდა ამ დროს კონსტანტინოპოლში.

ეღჩებს აღუსრულა იმპერატორმა ყოველი სურვილი იმათის ერისა. წათეს დაუმტკიცა მეფობა და ერთი უპირველესი სენატორი თჳსი, სახელდობ, ათანასე, რომელი იყო განთქმული უანგარებითა, გამოატანა თან გამოსაძიებლად და დასასჯელად დანაშაულობისა

წათე შემოვიდა ლაზიკაში **554** (ხუთას ორმოცდა ოთხს) წელს ის იყო შემოსილი მეფის სამოსელითა, რომელიც მიიღო იმან იმპერატორისაგან. ჩვეულებისამებრ, იმას მიეგა მთელი ლაზიკას ხალხი სასახლემდინ; სენატორი ათანასეც თან ახლდა, როგორც რომ მოვიდა ეს მინისტრი. იმ წამსვე უბრძანა შეპყრობა რუსტიკისა, რომელიც ჩასვეს აფსირტის ციხეში; ამასთანვე დააპატიმრეს დაბეზღებელი იოვანე, რომელი აპირებდა გაქცევასა ამ დროს შემოვიდა ნახორაგანი **6 0000** (სამოცი ათასის) მხედრობითა. ამ გარემოებამ შეაყენა საქმის წარმოებამ ტუსაღებისა. ჩხუბის თავდარიგს შეუდგნენ.

რომაელებმა დასტოვეს **2,000** (ორი ათასი) საბირი არქეოპოლისის მახლობლად. რომელთაც უნდა შეებეზრე-ბიათ მტერი ხშირის თავდასხმითა სანამდის ის იქნებო-და მოძრაობაში და ეპაექრებიათ მათთვის გზები, ხოლო დანაშთენი ნაწილი ჯარისა გავიდა რიონის კუნძულზე, სადაც იმათ ჰქონდათ ბანაკი

ნახორაგანი მიუახლოვდა რა არქეოპოლისს, გაგზავნა **3,000** (სამი ათასი) დილემიტი რომაელების საბირე-ბზედ, ერთი ლაზი რომელიც გამოეძღვანათ წინ იძუ-ლებით სპარსებსა გაექცათ იმათ და აცნობათ საბირებს მტრის მოახლოება მაშინ საბირები გამოვიდნენ თავია-ნთის ბანაკიდან და ტყეში დაესათვრნენ. დილემიტნი შე-მიღწნენ ბანაკში მალვით და უნდოდათ ამოწყვეტა საბი-რებისა სრულიად ამ დროს გამოცვივდნენ ესენი სათვრე-ბიდან, დაესხნენ სპარსებს უეცრად და სრულიად დაამარ-ცხეს ისინი **8,00** (რვასი) კაცი იქავე აკუწეს და **1200** (ათას ორასი) კაცი დაიღუპნენ ხშირს ტყეებში, სადაც სდევდნენ იმათ საბირები და არქეოპოლისის გარნიზონი.

ნახორაგანი დიდათ შეაწუხა ამ შემთხვევამ მოვიდა ის და დაბანაკდა რომაელების მახლობლად და აწყა მა-ტრინი ამასთან სალაპარაკოდ ამაყმა დი რის მხედრობის ქოჩებითა და მოიმედემან გამარჯვებისა. ურჩია რომის ღენერალს რომ თავის ნებით გასულიყო ლაზიკითგან თავის ჯარითა პონტოში დარიგებასხედ იქ მოილაპარა-კონ ჩვენმა ამორჩეულმა კაცებმაო. ამაზე მარტინმა უპასუხა: უფრო უპრიანესი იქნებაო, რომ თჳთან თქჳენ გარდაბძანდეთ საქართველოშიაო და მე აქ დავრჩებიო.

მაშინ გიწყებთ ლაპარაკს შერიგებაზედა—შემდეგ ამისა გაიყარნენ.

ნახორაგანმა ვერ გაბედა რომაელების შებმა კუნძულზე, ამისათჳს დააპირა აღება ქალაქის ფასისა. ეს ქალაქი იყო ცოტა ახლანდელს ფოთს ზევით, იმ დროს უმეტესი ნაწილი ხმელეთისა, სადაც ახლანდელი ციხე დგას, არ ყოფილა; ამაზედ გვემოწმება სტრაბონიც. ქალაქს ფაზისს უვლიდა სამ კუთხივ წყალი: ჩრდილოთ რიონი; დასავლით ზღჳა და სამხრით პალიასტომის ტბა, აღმოსავლეთით რომაელებმა გასჭრეს თხრილი რიონიდან პიჩურამდე, რომელი მიერთვის პალასტომის ტბას. ამ მხრით ეს თხრილი ხშავდა ქალაქზე მისავალს გზას ამ თხრილს ჰქონდა სიგრძე **16** (თექჳსმეტი) ვერსტი.

ნახორაგანმა, დააწყო რა პლანი ერიშისა, წავიდა დაუყოვნებლად ღამით რომაელების უცნობლად; ცოტა ბანაკს ქჳჱით გააკეთებინა ხიდი კატარღებზე, რომელნი მოიტანა თან ურმებითა და გავიდა რიონს გაღმა; მერმე მსწრაფლად, დილით ადრე, აჰყვა ამ მდინარეს მარცხნივ და დადგა შუა გზაზე რომაელების ბანაკსა და ფაზისის შორის. რომაელებმა შეიტყვეს, მაგრამ ძლიერ გვიან, სპარსების წასჳლა, მაშინ ამათ ჩასვეს სალდათები კატარღებში, რომელიც მოჰყჳათ ხელში, და დააყოლეს რიონს მწკრივად. მაგრამ ნახორაგანმა წინასწარ ჰსცნა მათი განზრახვა, ამისათჳს შეუკრათ რიონი ხეებით და ნავებით, რომელი იყჳნენ ერთმანერთზე გარდაბმულნი და ამათ უკან დააყენეს სპილოები ნაპირიდან ვიდრე ეს მხეცები ფეხს უწევდენ წყალში.

რომაელებმა ნახეს რა გზა შეკრული, მოუსპეს ნიჩბები და ცდილობდნენ განრინებას ამ საფსისაგან, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ გაუწყობდათ, მაშასადამე მოჭრილი შეექმნათ ფაზისის პირდაპირი გზა, გასცურეს რიონი და მოიარეს ყულევზე, (რედუთკალე), საიდგან ემურებოდნენ ფაზისის მიშველებლად.

ამ ქალაქს ჰქონდა ხის ზღუდე; მაგრამ იმას ეგლო მაგარი მარგილის გალავანი და განიერი თხრილი, რომელში შემოიყვანეს წყალი პალიასტომის ტბიდგან; თხრილში იყო ჩასობილი წამწვეტილი პალოები ასე, რომ ნავს არ შეეძლო იმაში მუშაობა. რიონში შემოიყვანეს სამხედრო გემები და დააყენეს ცოტა ქალაქს ზევით. გემების იალქნებზე იყჳნენ მიკრული გრძელი კოდრები, რომელშიაც ისხდნენ სალდათები და მატროსები. მარჯჳე მშჳლდოსნები და მოშურდულენი; იქ ჰქონდათ მაშინებიცა შუბების სასროლად **10** (ათი) კატარღა დაუცხრომლად დადიოდა გაღმა გამოღმა და აღმა-დაღმა ამ გემების დასაცავად მტრისაგან.

განთიადს ნახორაგანმა გამოიყვანა ჯარი ბანაკითგან და იწყეს ერიში გაუწყვეტლის ისრების სროლითა. გარნიზონი იყო შემდგარი სხჳა და სხჳა ერთაგან; იქ იყჳნენ: მავრნი, ჭანები, ისაურიელნი, საბირნი, ლომბარდნი და ღერულნი; ამათ ყოველთა ჰყავდათ თავიანთი საკუთარი სარდლები ამათ ყველამ დააპირეს გამოსჳლა ციხიდან და თავდასხმა მტერზე და მხოლოთ სასოწარკვეთილების მხნეობამ იხსნა ისინი სრულიადის დამარცხებისაგან როდესაც ესენი ებრძოდნენ მტერსა ციხეს გა-

რეთ, მაშინ დიპლომატები ჩამოუდგნენ იმათ უკან და უნდოდათ მოჭრა ციხის გზისა იმათთვის, მაგრამ ამათ გარდათელეს ისინი და გაიღეს გზა.

რომაელებმა მოსწვეს ტყე გარეშემო ქალაქისა. იმან დიდი დაბრკოლებებ მისცა სპარსელს, ამისათვის რომ იძულებულნი იქმნენ შორს წასვლად ხეების მოსაზიდად მაშინებისათვის.

მარტინმა, განსამხნევებელად რომაელებისა, დაჰკვრა ხმა რომ კურიერი მოვიდა, რომელმა მამცნო შემწე ჯარის მოახლოვებაო. ამ ამბავმა მიაწია ნახოსაგანამდინაც. იმას მართალი ეგონა და ერთი ნაწილი ჯარისა გაგზავნა მომავალის ჯარის მისაგებებლად იმ მხარეზე, საიდაგანაც ჰგონებდა იმისს მოსვლას. ამით თუმცა შეასუსტა ძალა იმას, მაგრამ კიდევ ცდილობდა ქალაქის აღებასა. ბრძანა მისულა ერიშით ციხეზე და, მოიმედემ წარმატებისა, გაუგზავნა ბრძანება 2,000 (ორი ათასს) სპარსს, რომელნიც იყვნენ გაგზავნილები ხეების მოსაზიდავად, რომ იმათ იყავით მოსაშველებლად, როცა ცეცხლს მოუკიდებენ ქალაქსა, და მის აკლებასნებდათ. ერთი საათით წინ ერიშისა იუსტინი, რომელი იყო ციხის კომენდატი, წარსტაცებული ლოცვის სურვილით, თუმცა კი არ იყო ამის დრო, გამოვიდა ციხიდან 500 (ხუთასს) მხედრით და თავის უმჯობესის ინფანტერიით (ქვეითის ჯარით) და წავიდა მოსალოცავად ერთს მახლობელს ეკლესიაში იუსტინი გავიდა რიონში ისე, რომ სპარსებს არ დაუნახავთ ის, ამისათვის რომ, რომელ მხარეზე გამოვიდა, იმ მხარეზე არ იყვნენ მიმდგარნი სპა-

რსები. ერიში იყო ძლიერი: ისრები აბნელებდნენ მზეს სიმრავლითა. სპარსები ხმარულობდნენ ყოველს ღონის-ძიებას, რომ ხის გალავანი ქალაქისა დაეწვათ, მაგრამ რომაელები არ უშვებდნენ იმათ.

ერთსაშად იუსტინს, რომელიც მოსდიოდა დაბრუნებული ეკკლესიიდგან, მოესმა საზარელი ხმა საყვირისა, ჭიხვინი ცხენებისა, ზათქი მუზარადთა და ფარათა რასაკვირველია ჰსცნა ამისი მიზეზი, და დაესხა თავს სპარსებს, რომელნიცა დიდად შეშინდნენ ამ შესევითა. იმათ ეგონათ, რომ ეს არის ჯარი, რომელსაც რომაელები მოელოდნენო; უსათუოთ ამათ დაუხოცნიათ სპარსები, გაგზავნილნი მათზედ ნახოსაგანისაგანაო. დილემიტები მიეშველნენ სპარსებს, რომლითაც შესუსტეს ჯარი, ერიშით მისული ციხეზედ რომაელებიც გამოვიდნენ ციხიდან. დილემიტები მიემჴრნენ ტოტაოდენთა სპარსთა რომელთა რომაელები ავად ეპყრობოდნენ.

ამათმა დაძვრამ ამ ადგილიდგან სრულიად სპარსის გაქცევა ეგონათ იმათ, ამისათჳს სპარსებიც გაიქცნენ და დაიფანტნენ.

მარჯჳენა მხარე კიდევ იდგა მაგრად სპილოების შეწეობითა, მაგრამ ბევრ მათგანი ამოიყლიტა. მაშინ ციხეში მყოფთა ნახეს, მტერს გაქცევის მეტი აღარაფერი საშველი ჰქონდა. ამისათჳს გამოვიდნენ ყველანი ციხიდან და დაედევნენ იმას. სპარსებმა მიმართეს თავიანთ ბანაკს, რომელი იყო რიონში მდებარე კუნძულზე იმათ მოაკლდათ იმ დღეს **10,000** (ათი ათასი) კაცი, მაშინ როდესაც რომაელებს არ დაკლებიათ **200** (ორასზე)

მეტი მარტინმა დააწყევინა ყველა სპარსების მაშინები. ამ ცეცხლმა მოიტყუვილა სპარსები, რომელნიც იყვნენ გაგზავნილები ხეების მოსაზიდავად იმათის სარდლისაგან რა რომ მოუახლოვდნენ ციხეს, რომაელებმა სრულიად ამოსწყვიდეს ისინი. დავლა იყო აურებელი.

ამასობაში ზამთარიც მოახლოვდა. ნახორაგანს ავლდა სარჩო, ამისათჳს აუცილებელი იყო იქიდგან წასვლა. ისავიდა მუხერისში თავისის ჯარითა. აქ დასტოვა იმან უმჯობესი ნაწილი თავის მხედრობისა, რომელსა უჩინა უფროსად კაფრიზ, ჩინებული ღენერალი მხნეობითა და თჳთან დანაშთენის ნაწილითა წავიდა საქართველოში.

როცა სპარსები მოიშორეს თავიდან რომაელებმა, მაშინ შეუდგნენ გუბაზის მკვლელების მსაჯულებას. ათანასემ აამართვინა შუაგულს არხეოპოლისში (ნოქალაქევი) სასამართლო სავდარი. მარცხნივ იდგნენ რუსტიკი და იოვანე დამბეზღებელი; მარჯვნივ იმათი გამტყუვნებულენი, რომელნი იყვნენ წარჩინებულნი პირნი ლაზიკისა. ამათ მოითხოვეს რომ წაეკითხათ იმპერატორისაგან მოწერილი წიგნი, გარნა იმათ ესმოდათ ბერძნული წიგნი, წააკითხეს ქადაგსა... გუბაზმე სრულიად გაამართლეს ლაზებმა. არა მიმხედავმა ამისა, ათანასემ ნება მისცათ გამტყუვნებულთა თავის გამართლებისა, თუ შეეძლოთ. მაგრამ ხალხში ამაღლდა ხმა დრტვინვისა, რომელი ამტკიცებდა თუ როგორის მოუთმენლობით უყურებდნენ ამ ხანის გაგრძელებას. ვერა ვითარისა სახითა ვერ გამართლდნენ დამნაშავენი. მაშინ ათანასემ გაუჩინათ იმათ სიკვდილი, ჯერ შეაჯდინეს ისინი ვირებზედ და ჩამოა-

ტარეს მთელი ქალაქი იმათ მიუძღოდათ წინ ქადაგი, რომელი იტყოდა ხმა მაღალ: „ერიდენით კაცის მკვლელობას და პატივს ჰსცემდეთ კანონთა!“ გასამართლებაგი მარტინის მიანდეს იმპერატორსა. დამნაშავეთ მოჰკვეთეს თავები. ამ ნაირმა მსაჯულებამ დაამშვიდა ლიონელნი და დაიჭირა ისინი რომელების მორჩილებაში.

მაგრამ ამ ქვეყანაში არ იყო კიდევ მშვიდობა დამყარებული მოხდა ერთი შემთხვევა დიდად საშიში რომაელთათვის. როდეს სენატორი ათანასე მოვიდა დაზიგაში, იმას მოჰყვა ერთი ავიტური, სახელდობ სოტერიხოს, რომელმა მოიტანა თან ხაზინა დასარიგებლად უთიგურთა, ალანთა, ანუ ოსთა და სხვათათვის, რომელთა ამავე რომი ჯამაგირს მსახურებისათვის, სოტერიხომ რადგან ეს ხალხნი დაზიგაზედ მოშორებით იყუნენ, არჩია დაბინავება იმათ მახლობლად, საიდგან გაუადვილდებოდა ფულების დარიგება. ამისათვის ამოირჩია მხარე მისხიმლიანელთა რომელი ეკუთნოდა ლაზიებსა და იყო მდებარე აღმოსავლეთ—ჩრდილოთ აპსილიანებზედ, ენგურის ხეობაში და ტეხურის და ცხენის-წყლის გამოსადინარში, დიდი შარა, გარდამავალი სვანეთზე. რომელი განიყოფებოდა ორ მტოდ იალბუზის მთასთან და ერთი ფეხის ამას მარცხნივ და მეორე მარჯვნივ. გარდადიოდა კავკასიის იქით მდებარე ქვეყნებში. სოტერიხოსს უნდოდა ეცნობებინა უტიგურთა, ალანთა და სხვათათვის, რომ მოსულიყვნენ და მიეღოთ მისგან ფული, დანიშნული მათთვის . . . მაგრამ მისხიმლიანებს ეგონათ რომ სოტერიხოსს ჰქონდა განზრახვა, რომ დაეჭირა იმათი ერთი

უმირველესი და უმაგრესი ციხე. რომელშიაც უნდა გაემართა, იმათის აზრით. კონტორესი მაშინ ამათ გაგზავნეს სოტერიხოსთან მოციქულები და ჰსთხოვეს რომ დაეცალა ამას ის ადგილი; და თუ ის ამას აღასრულებდა, მაშინ ესენი სრულს მორჩილებაში იქმნებოდნენ სოტერიხოსს დიდად ეწყინა ამ ნაირი თხოვნა, ამისათვის სასტიკად დაასჯევინა ისინი. საცოდავები ცოტად—მკუდარნი დაბრუნდნენ შინისაკენ და თჳთანკი მოისვენა თავისუფლად და არა კითარი თავდარიგი არ დაუჭერია.

მოციქულები მოვიდნენ და უამბეს ყოველივე თავიანთი, ამ ამბავმა უსაზომოდ განარისხა ეს ხალხი, ის რაცხდა თავის თავს თავისუფლად და მართლად რომ, იდგა საკუთარს სჯულზე და წესზე. მოგროვდნენ და წამოვიდნენ იმ ღამესვე დაესხნენ თავს სოტერიხოსს და სრულიად დაჩეხეს იმისის მხლებლებიანათ რა საკვირველია იმათ იცოდნენ ბეჯითად, რომ რომაელები არ მიუტევებდნენ იმათ ამ ნაირ მოქმედებას, ამისათვის დაუმორჩილდნენ სპარსეთს

ნახოსაგანის მოსვლამ შეაყენა რამდენსამე ხანს რისხვა რომაელებისა მათზედა; ცოტახანს უკან, იმის წასვლის შემდეგ, როცა გაზაფხულმა **555** (ხუთას ორმოცდა თხუთმეტის) წლისამან განხსნა გზები, მაშინ **4,000** (ოთხი ათასი) რომაელი წავიდა და დაბანაკდა წიბულას ციხეში რომელი დღეს არის ხიბულა, და რომელი იდგა აფხაზეთისა და მისიმიეთისა შორის, ე. ი. ხოფისა და ცხენის წყლის შუა ნახოსაგანმა მიაშველა ჯარი მისიმიანებსა, რომლითა ესენი უმძლიერეს შეიქმნენ რო-

მაელებზედ, ამისათჳს ამათ ის ზაფხული უჩხუბრად გაატარეს მინამ ამ მხარეზედ ეს საქმე წარმოებდა, რომაელებმა გვალად აიღეს როდოპოლისი (კარციხე,) რომელი სპარსებს ხელახლად განეახლებიათ და განემტკიცებია. ამის მეტი იმ ზაფხულზე არა მომხდარარა შესანიშნავი და როდესაც შემოდგომაზე სპარსები შევიდნენ ქუთაისში (საქართველოში) დასაზამთრებლად. მაშინ რომაელებმა შეკრიბეს ყველა ჯარები და მოემზადნენ მისციმლიანებზე წასასვლელად.

იმათი მეზობლები, აპსილიანები, ცდილობდნენ, რომ ღოეყუჲანათ ისინი რომაელების მორჩილებაში უჩხუბრად, რაჲსათვის გაგზავნეს იმათ თჳსნი წარჩინებულნი პირნი შუამდგომლად; მაგრამ მისსიმლიანელებმა, არათუ არ შეიწყნარეს იმათი შუამდგომლობა, აგრეთვე ყველანი დახოცეს ისინი.

ი. მოსიძე.

# წიგნი

## ერთის მოქალაქისაგან რედაკტორთან მიწერილი.

### სომხურ ჟურნალითგან ნათარგმნი.

უფალო რედაკტორო!

(გვარზე ლაზარაკიც წლის მოსავალია.)

რამდენჯერ მდომებია თქვენთან წიგნის მოწერა და ჩემის ფიქრების თქვენთვის შეტყობინება; მაგრამ, ჯერ ზაფხულის სიცხეები და მერე ამ ბოლოს დროს არეულ-დარეულობა, რომელიც იყო ამ ქალაქში, სრულებით არ მაძლევდა ნებასა, რომ ერთი გულმოსვენებით კალამი ამეღო ხელში და მეც ჩემ შესაფერად წელიწადში ერთხელ მაინც მეიდანზე გამოვსულიყავ მაგრამ, ახლა კი, რადგანაც პატარა სიდრიგეები დაიწყო. კარგია, ამ დიდ ღამეებში წიგნების წერა და კითხვა. დაილოცოს წიგნების მომგონის სახელი! მართლა და დავფიქრდები ხოლმე ჩემთავად და ვამბობ: ნეტა ეს ჩვენი ვაჭრები, ხელოსნები და დაბალი ხალხი როგორა სძლებენ რომ წიგნებს არა კითხულობენ? მე ასე მგონია ქვეყანაზე უწიგნოთ ვერავინ გასძლებს, მაგრამ რამდენნი არიან უწიგნოთ

გამძღენი! წიგნების კითხვა იქით იყოს, მე რაც მინდოდა მეთქვა იმას მოგახსენებ: ამ ახლო ხანეში ათასნაირი ამბავები მესმოდა ყოველ დღე; მე ერთი მოშორიდებული და შორს მოსიარულე კაცი ვარ, არც ხეირში და არც შარში არაფერი საქმე არა მაქვს რა, მაგრამ იმ ამბავებში ზოგიერთი ისეთი ამბავი მესმოდა, რომ შევწუხდებოდი ხოლმე და ვფიქრობდი ჩემ თავად: უწინ ჩვენ რა ვიყავით, ახლა რა ვართ და ხვალ და ზეგ რა ვიქნებით? ნათქვამია: «მართლის მთქმელს ცხენი სულ მუდამ შეკმაზული უნდა ჰყვანდესო». მართალია მე არა მაქვს ისეთი სწავლა, რომ თითით საჩვენებელი ვიყო. მაგრამ რაც უნდა იყოს მე, მაინც კიდევ ამ ქვეყნის ხეირის და შარის ამბის წადება შემიძლიან იმ ქვეყანას; რაღა კილაკანტურები. მე მინდა ვსთქვა, რომ ჩემს ჭკუას საქმისა ცოტოდენი გაეგებარამ ჩვენს ისტორიაში წამიკითხავს რომ ჩვენს წინაპარს ჭაოსს თავისუფლად ცხოვრება უყვარდათ, არავის თავს არ დაუკრავდათ, რადგანაც იმ ჟამად მხოლოდ იმას მიეღწია იქამომდე, რომ ფიქრობდა: ყველანი თანასწორნი ვართო, ხალხში დიდ-პატარაობა რათ უნდა იყოსო; იმას კარგა ესმოდა რომ დიდობა ძალზე არ არის დამოკიდებული; სიტყვა ჭკუასა კაცისა. აი ესეთი კაცი იყო ჭაოსი, ჩვენი წინაპარი, ჩვენი პაპის პაპა; მაგრამ, აფსუს რომ იმისი ძვლის შვილები სომხები, ამ ჩვენ დროებისანი, ჩვენის პაპისოდენსათაც ვერა ფიქრობენ.

უფალო რედაქტორო! გთხოვთ არ დამემდუროთ რომ მე ძველადგან გიწყობ, რადგანაც თავითგან დაუწყობდივ,

ერთმანეთ ბოლოთგან დაწყობილი უშნო, უშარილო და უგემური, როგორც ევროპაშიაც ერთს დაუწერია ერთ წიგნში: როგორც სჯულისა ქათმის გაკეთებისა, შემწვარით თუ მოხარშულით. და იმ წიგნის დამწერს დაუწყვია წიგნი ქვეყნის დაარსებითგანა: « როდესაც შექმნა ღმერთმან ჰაერში მფრინველით და ზღვაში თევზით . . ცოტა საცინელი კი გამოსულა, მაგრამ რა უამისოთაც არ შეიძლებოდა . . . . დროება გამოცვლილა, ეხლა შა-გირდი ოსტატზე წინ გარბისო. უნცროსი უფროსს წინ გაუსწრობს ხოლმე, ჰაობათ ესეც წელიწადს მოასქესო. ჰაი, « ჰაი! იმდენი დღეგრძელობა გქონდესთ, რამდენიც სწორეთ ისეც იყოს: ჩვენი ქალაქი თბილისი დღეს აქამომდე თუმცა პირველი იყო და სამაგალითო რუსის ხელქვეშ სომხებისათჳს და რასაც ჩვენი ქალაქის სომხები მოიფიქრებდნენ, მაშინვე შეიღებდნენ ხოლმე იმათგან ერევნულებიც, გუმრელებიც ყარაბაღელებიც და სხვა ადგილის სომხებიც; უხაროდათ და მისდევდნენ უკან; მაგრამ მედა ჩემმა სულმა, რაც ამ ბოლოს დროს ყარაბაღელებმა საქმე ქმნეს, ვერავინ ვერ იქმოდა. ჩვენს თბილისში ამდენი ათასი სომეხია და ჯერ კიდევ ერთი რიგიანი სომხეთ სასწავლებელი შკოლა არა გუაქჳს; ეს ერთი სომხური შკოლაც ნერსესისაგან არის გამართული და იმისთანა ჭკვიანი კაციც რო არ გამოგვჩენიყო რა დღეში ვიქნებოდით ჩვენ ეხლა? აი ეხლა მეორე წელიწადის, უ[illegible] რედაქტორო თქვენს გაზეთშიაც [illegible]ნებინათ და გეთხოვნათ ჩვენი ქალაქის ხალხისათჳს, რომ თავიანთ თჳს ერთი სასწავლებელი მაინც გამართონ; ისიც

გებძანებინათ რომ ორმოცდა ათი კაცი შეიყაროსო და გამართოსო. ჯერ ერთი რომ არ იქნებოდა სირცხვილი რომ ეგ საქმე ერთს კაცს ეკისრა და არა თუ ორმოცდა ათს კაცსა; ეს კიდევ ჯანამას; საქმე ის არი რომ ეხლა რა მესმის? ჯერ კიდევ ორ სამ ფულიან კაცსაც არ მოუწერია ხელი ამ ქალაქში და რა გვესმის? აგერ რუსეთიდან ხუთ ხუთი თუმანი შეხვეული მოგდისთ, რომ თქუენ ამ ხალხისათვის სასარგებლო საქმე მოახდინოთ. მე ის მინდა გსთქუა, რომ ჩუენს ტფილისელებს დღევანდლამდინ ერთი ლაზათიანი და რიგიანი შკოლა არა აქუსო, აგერ მუშლებს კი ყარაბაღში, ამ ორ წელიწადში, შკოლა გაუმართავსთ და თქუენის ფულიც მოუგროვებიათ ამასთან, შკოლასაც რიგიანი შკოლაა; ეს ცხადი საბუთია დასამტკიცებლათ რომ შაგირდი ოსტატზე წინ წავიდა და გზას გადაუარა. რასა იქ? ეს მართლა აქაც ხო არ არი ესე, ხმელეთზე, მთელ ქუეყანაზე ათასობით გვესმის და ვხედავთ ამისთანა მაგალითებსა. ეჰ, არც ესა და არც ის, სულ დროებისაგან არის, დროებისაგან: როგორც ადამიანს სიცოცხლე აქუს და სული უდგას, დროებაც ისეა. იმასაც თავისი სული აქუს და თავისი ხასიათი. სწორეთ და მართლათ ესა მქონდა სათქმელი, რომ რაც ცვლილებანი მოხდება ხოლმე და ვხედავთ, სულ დროებისაგან არის მომავალი, სულ დროების სულისა და ხასიათისაგან არის როგორც ადამიანი თავის ყმაწვილობითგან, კიდრე ასაკ მოსვლამდინ ათასჯერ გამოიცვლის ხოლმე ხასიათსა აგრეთვე დროებას. ქუეყნის დაარსების დღითგან, ათას ნაირათ გამოსცვლია ხასიათი. ისიც

გამიგონია რიგიან, მცოდნე და ჭკჳან კაცებისაგან რომ იმ კაცს დაუგდია კაი სახელი, ის კაცი წასულა წინ, რომელსაც გაუგია და უცნია თავისი დროების საჭიროება, იმისი სული და ხასიათი; სახემწიფოები სულ მუდამ მაშინ წასულან წინ როდესაც დროების ხასიათი უცნიათ და მიჰყოლიან იმას რა აქეთ იქით ჲქმებით? ჩუჱნი სომეხთ სახელმწიფოც სულ მაშინ ყოფილა აღყვავებული, როდესაც თავისი თავი სხჳა სახემწიფოებიდგან არ განურჩევია. ჵი ამ ნაირათ დროებას, სხჳა და სხჳა ხალხი და სხჳა და სხჳა თემი, ფეხზე დაყენებით და წაქცევით, ამაღლებით და დამდაბლებით მოუყვანია და მოუღწევინებია ამ დღემდინ ახლა ამ ჩუჱნი დროების სული გვიბრძანებს ჩუჱნ რომ უკან არ მოვიხედოთ, წინ წავიდეთ ეხლა ამ დროებაში, როგორც უპუროთ და უწყლოთ არ გაიძლება, ისეც განათლებლივ ცხოვრების გზა აღარ არის. რასა იქ რომ დროება მოითხოვს ამასა? როგორც ზემოთაც მოგიხსენებია, ეხლა დროების ბრძანებაა, რომ დიდიცა და პატარაც, მოხუცებულიც და ახალგაზდაც, ყველანი უნდა გარბოდნენ და რამდენიც შეუძლიანთ ჩქარა მიაღწიონ განათლების უმაღლესს ხარისხსა მაგრამ ეს არის საცინელი, რომ მოხუცებულნიც და ახალგაზდებიც, მდიდარნიც და ღარიბნიც ერთათ დგებიან და ერთათ უნდათ გარბენა დროების ბრძანების აღსასრულებლათ, მაგრამ ამ ხნიან მდიდრების, ხელების მუხლებზე წყობით, მუხლების სისუსტის მიხედვით, თავიანთ მძიმე ჯიბეებისაგან, უჭირდებათ გაქცევა, მაგრამ იჭერენ ამ თავითვე ახალგაზდებს, წინისწრივით ჰკიდებენ ხელებს, ცოტაოდენს

საქმის მცოდნე და თავ მომყვან კაცებსა, უჭერენ გალო-თებს და რაცა ქჳყანაზე მაღლა აქჳსთ. ხმარობენ რომ არ გაუშვან წინ წავიდნენ, ამიტომ რომ იციან თავიანთ თავის ამბავი. ვერ მიჰყვებიან იმათ. მე რომ არ შემი-ძლიან წინ წასვლაო, შენც ნუ მიდიხარო. მაგრამ, ვინ დასდგომია წლევს აქამომდე დროების ბრძანების წინ? ვის გაუბედნია იმის ბრძანების აღუსრულებლათ დატო-ვება, ისე რომ იმ ხნიანებს შესძლებიყოსთ რამე? ახალგა-ზდებს ეცინებათ, რომ ხედავენ თავიანთ ხელების იმათგან იმ გვარათ დაჭერასა ერთს მსუბუქათ გაიქნევენ ხოლმე ხელებს, გაუსხლტებიან და გარბიან წინ! ამ დროს რასა შვრებიან ბებრები? ისინი ერთი მეორის შემდეგ. წუნარ წუნა-რათ, თავიანთ ღონის შესაფერათაც ვერ მისდევენ ახალგაზდე-ბს, თავიანთ ადგილიდგანაც ვერ დაძრულან ასე რომ, ილაჯ გაწყვეტილნი ჭმუნვაში შედიან და ახალგაზდებს უკანი-თგან აგინებენ და სწყევლიან: ჭკაი თქჳს საძაგლებო, მუ-ხანათებო, ურმერთოებო, რჯულითგან გადამდგარებო, ლოტრანცებო, ნემცებო, — გინებაებია, რომ გამოდის ბებრების პირითგან! ოჰ, რა უძლურია ამ გვარი ბებრების ღონის ძიება ახალგაზდებზე ხმარებული! ზემოთაც მოგვა-ხსენეთ რომ დროება გვიბრძანებს წინ წასვლასა და არა თუ მარტო ეხლა ეს ბრძანება, თვით ღმერთის არა რაი-თგან შეუქმნია ეს ჩუჱნი ქჳყანა, მიუცია სიცოცხლე და უბრძანებია რომ დაუღალავათ და დაუსვენებლივ წადი წინაო, იბრძინეო; აი აქეთგან იწყობა წინ წასვლის სათავე, წინ წასვლის წყარო ეს კმარა საბუთათ რომ თვით უფა-

ლს. ჩუენს დამბადებელს უბრძანებია ყოველ საქმეში წინ წასვლა; ვაი იმის ტყავს, ვინც სხვების უკან დარჩება!

ზემოთ რამდენიმე ჯერ მითქვამს თუ: წინ წავიდეთ, წინ გავიქცეთ, მაგრამ ჯერ არ მემიტყობინებია, რას ნიშნავს ეს სიტყვები, როგორ უნდა წინ წავიდეთ, როგორ უნდა გავიქცეთ და რა გამოვა ამ გაქცევისაგან? ეს მინდა ხელ და ხელ მოკლეთ შევატყობინო ჩემ მკითხველთ: ჩუენი წინ წასვლა ის არი და ის უნდა იყოს რომ, როგორც ევროპიის ხალხი თვალ ღიაა, სწავლა აქუს, ჭკვიანია, ზრდილი და მარ[illegible]გულია ისეც ჩუენ უნდა ვიყუნეთ. არ გვეყოფა, რაც ჩუენ ბნელში, თუალებ დახუჭულნი, ხან აქეთ ვეცემოდით ხოლმე და ხან იქითა და მთვრალ კაცსავით. ხან ერთ კედელს მივეკეკრებოდით ხან მეორესა? როდემდის უნდა ვიყვნეთ ამ სახით? მთელი ქუეყანა ნათლდება და ჩუენ კი ორიოდეს ჩუენგანს განათლებულს ურჯულოს დალოტრანგს ვეძახით.. განა ადამიანის შესაფერია ესა, ესრეთი ქცევა? რამდონჯერ ჩუენში განთიადის ვარსკვლავსავით, გამოჩენილან ისეთნი კაცნი, რომელთაც ჩუენის ამ გვარ მდგომარეობისაგან გული სევდით ავსიათ, დამწვარან და დადაგულან და ცდილან რა არი ერთ ერთს ჩუენგანს მისც ალეხილონ თვალები; მაგრამ აბა ვინ ჩუენგანი შესწევნია იმათ ამ საქმეში? შეწევნაც ჯანაბას — შენა თქვი თუ ერთი ბეწვითაც არი ყური გვიგდია იმათ ნათქუამებისათჳს, იმათგან დაწერილებისათჳს? ჩუენ დღესაც ისევ ისა ვართ და ისევ ის! დაგვიხუჭავს თვალები, მოგვიყრუებია ყურები და განგვისვენებია გონება! არა გვმართა, რაც დღეს,

აქამომდე ჩუენი ოჯახი დაქცეულა? სანამ დანა სახსარს, და ძვალს არ მიაწვდეს ხმა არ უნდა ამოვიღოთ? სირცხვილი არ არის ჩუენთვის? ვაჟო, სხუა რომ არა იყოს-რა, ეს ჩუენი ვაჭარნი ხალხნი მაინც იყვნენ სამაგალითონი; ერთ ერთი ცუნცრუტა იევროპიელი მოდის აქა. დუქან ბაზარს მართავს, ორ სამ წელიწადს ტვინს გვ ჭამს და მილიონებით უკან ბრუნდება; ჩუენი ოცდა ათის წლის ვაჭრებიკი ქესატობით აკან პირებ დაღებულნი ხსედან; ამის გამო მაინც უნდა გვრცხვენოდეს და! რათა გარით ესე? — იმიტომ რომ ისინი ახალნი კაცნი არიან და ჩუენ ძველნი (*). ძველებს ახლები არათუ მარტო არ მოსწონთ თვით ფერსვებიანვთაც ამოგდებასა ცდილობენ! ვაი თქუენ ფარისეველნო, ბრძანებს უფალი ჩუენი; ახლანდელი ძველებიც სწორეთ ისე კაი დასაურველნი არიან. საკვირველია, რა ამგარა ირძოლვაა ეხლა ჩუენ თბილისში ძველებისა და ახლებისა; ძველები მეიდანზე გამოსულან ახლებთან საბრძოლველათ; ჩუენ რო წინ ვერ წავდიკართო თქუენც ნუ მიდიხართო; ჩუენ რომ დავითნის მეტი არა ვიცითარაო, მაშ ჩუენ კაცები არა ვართო, რა გვა-

(*) ძველ კაცს იმას ვეძახი, ვინც არც თავის თავსა მცნობს და არც ქუეყანას ისე როგორც ამ დროებას შეჰფერის და მოითხოვს ეს დროება; ძველნი და გაცვეთილნი არა თუ მარტო მოხუცებულნი არიან, თვით ახალგაზდებიც რომელნიც განათლებისა და დროების მიუხედველობით უკან დარჩომილან და დროების ხასიათი, მისი სული და მისი მოთხოვილება ვერ უცნიათ.

კლიაო: საზამთრო შეშას ზაფხულის იაფობაში ვყიდუ-ლობთო, შენ ხარ ჩემი ბატონიო, და მთელი წლის პური და ღვინო შინა გვაქუსო, დღისით გამოვდივართ ჩუენ საქმეზეო, ღამე თბილ ოთახში მოსვენებით ვსხედვართო, თუნდ მთელი ქუეყანაც დაიქცესო, ჩუენი ხო ერთი ხოროში თივაც არ დაიწვისო». აი ეს არი ჩუენი კაცე-ბის თოფი და იარაღი, აი აბა ეს აქცევს იმ საცოდა-ვების ოჯახსა: იმათი ის არი რომ თითონ კუჭი მა-ძღარი ჰქონდესთ, სხვები თუნდ მშიერი დაიხოცნენ, აი-ნუმშიაც არ მოუვათ. აქედგან კარგათ, ცხადათ ჩნდება რა არი ძველობა: ძველი კაცები მხოლოთ თავიანთ მუ-ცლის და ფულის ფიქრში არიან, ახალნი კი, როგორც თავიანთ თჳს, ისეც მთელი ქუეყნისა და მთელი ხალხი-სათჳსა ფიქრობენ; ძველ კაცებს სხვის კეთილი თუალში ეკლათ ეჩუენება, ახალ კაცებს კი ერთი ორათ უხარი-ანთ; ძველნი კაცნი დიდ კაცებს უმდაბლესად უგურენ თავსა, ხელოსანსკი ზედაც არ შეხედვენ ხოლმე, ახალნი კი დიდკაცებსაც და ხელოსანსაც ერთგვარათ უყურებენ, ყველას ერთ ნაირათ სცემენ პატივსა. ახალ კაცებისათჳს დიდ პატარაობა არ არის, ყველას თანასწორ ღუთის გა-ჩენილად სახვენ; მხოლოთ ერთი ეს არის ახალ კაცებისა, რომ ჭკვიან კაცებს პატივსა სცემენ ისე, როგორც მოი-თხოვს კაცობრიობა; რეგვნებისა და ძველ კაცებისათჳს კი მხოლოთ სწუხან რომ იმათ ერთი უშველონ რამე. მაგრამ რას უზამ იმ ბრმას, რომელსაც არა სჯერა რომ ის ბრმაა? ნათქვამია და გამოცდილია რომ მხოლოთ იმ კაცს ეშველება რამ, იმ კაცის გასწორება და ჭკუაზე

მოუვანს შეიძლება, რომელსაც თითონაც სწამს და სჯერა რომ იმას აქუ̂ს ნაკლულევანება; ერთი კაცი რომ ფიქრობდეს რომ მე ყველა საქმე ისე მესმისო და ისე ვიციო რომ თქუ̂ენი სწავლება საჭირო არ არისო და არცარა მაგლია რაო, ეს აშკარაა რომ იმან არათუ მარტო არა იცისრა, თჳთ გვერდებიც პატარა მაგარი აქუ̂ს იმას.

ჩუ̂ენი ქალაქის ძუ̂ელი ხალხი ხო არ გატუდება რომ ის წასულა, გაცვეთილა, არას დროს, ღმერთმან დაიფაროს; იმათ არცკი მოუვათ ფიქრათ რომ დაიხედონ თავსა და ნახონ თავიანთი ნაკლულევანება, თავიანთი საწუხარი ცეცხლი; ჯერ კიდევაც დაგვცინებენ ჩუ̂ენ და გვეტყჳან: «ჯერ თქუ̂ენ ჩუ̂ენოდენა გამოცდილება არა გაქუ̂სთო» ერთი გვითხრან თუ იმათი გამოცდილება რა არი, რას ეძახიან ისინი თავიანთ გამოცდილებასა? თავიანთ ძველობასა? თავიანთ ვაი დასაყრელ თავსა? ხალხის გაყვლეფასა და გამოგლეჯასა? სხვის ფულების ქვეშ ამოდებასა? სხვების დასალუპავათ მახის დაგებასა? რომელია იმათი გამოცდილება, რომელი? ამბობენ თუ ჩუ̂ენ უფროსნი ვართო; ჩუ̂ენ მოხუცებულნი ვართო, — რაუყოთ, ხვალ არა ზეგ ჩუ̂ენც მოვხუცდებით. ჴაი, ჴაი, წავიდა ის დროება, როდესაც კაცები ერთმანერთის ჭკუ̂ას სქელ პტუელ წვერით და თავის თმის სითეთრით ზომდნენ ხოლმე! ეხლა ასალგაზდას გიჩვენებთ, რომ დქუ̂ენს უწინდელ წვერ გათეთრებულ მოხუცებულს მწყურვალს წაიყვანს წყალზე და მოიყვანს. მართალია ხელები კი გამოცდილი აქუ̂სთ ძველებს, მაგრამ ისიც დიდი ჭკუნარი არ არის რომ ორმოც და ათის ანუ სამოცის წლის კაცი

გამოცდილი იყოს და იმათ გამოცდილებასაც ერთ გრო-
შათაც არ ვიყიდი, ამიტომ რომ ისინი ერთი და იგივე
არიან, არა მომატებიათ რა იმათ არც რქები და არც
ფრთები. მაგრამ, ჰო, მართლა, იქნება კი კაი ერბოს და
კაი ბრინჯის ყიდვა იცოდნენ, თარაქამის თათრების ატყუ-
ებდნენ კარგათა და იაფათ ყიდულობდნენ ერბოსა და
ყველსა, მე ამაზე უარს არ ვიტყვ; მაგრამ იქნება ეგო-
ნოსთ ამითი იმართლონ თავები დროების წინაშე იმ
გაცემმა, რომელთაც შეურაცხყო გზა თავიანთ შვილების
განათლებისა და გამოჰყავთ თავიანთი თავი წმინდად და
მართლად და ამბობენ: «შვილებო, მე სულ თითით გამი-
ლოკია ჯვარი წმინდა ერბო და მერე შევაწყრებივარ, მთელი
ერთი საათი მდგარვარ იმ მტვრიან მეიდანზე და ისე
მიყიდნია, ბრინჯი სოღანლუღის გზაზე მიყიდვინებია
რომ იაფათ დამიჯდეს, სულ ფულავით გამიზდიხართ
თქვენ, ავათ რომ ყოფილხართ სულ თავზე ხელი მის-
გია თქვენთვის. თავი რომ გტკივებიათ სულ ტილო მი-
სველებია ძმარში და შუბლზე მიდვია, შვილებო. აი ამითი
იქვეხიან მოხუცებულები, არცკი სცხვენიათ! მაგრამ თუ
ერთი ძალა დავატანეთ რამე იმ გაცვეთილ ძველ ბატო-
ნებსა, მაშინ თავიანთ გამოცდილებას თავს დაანებებენ
და თავიანთ ჩამამავლობას და გვარი შვილობას მოჰკიდებენ
ხელს: და გვეტყვიან: «მამაშენი მამის ჩემის წინ ხელები
გულზე დაწყობილი და ქუდ მოხდილი იდგა ხოლმე.
ახლა შენ როგორა ბედამ ჩემთან ზრდილობაზე, სწავლა-
ზე და გვარი შვილობაზე ხმას იღებ და კარგსა და ავსა
ლაპარაკობ, მეო დიდი და კაი ოჯახის შვილი ვარო, მე

როგორ მაწყენინებთო.» ერთი ჰკითხეთ იმას თუ მაგ შენის გვარიშვილობით, მაგ შენი გამოცდილებით რომელ საწყალ ხელოსან სომხის შვილისთვის მიგიცია განათლება და ზრდილობა? უწინ რომ იმ მოქადაგე მგირტიჩ კარ-თაპელტისათვის ფულს აგროვებდნენ და შენთანაც მოვიდნენ, რამდენი თუმანი, რამდენი მანათი და რამდენი კაპეკი მოუწყრე და შეაწიე? პირი რათ მოარიდე და რათა სთქვ თუ: «ვაჲ, მარტო მე ხო არა ვარ, სხვებსა სთხოვეთ, მე საქჳეყნო ფული არა მაქჳს, ჩემი ქჳეყანა ჩემი ჯიბეა, საქმე გამწყვეტია! მეც რომ გავღარიბდე ვინ მამცემს ერთ გროშსა?» მართლათ რომ რამდენნი არიან ამისთანები! არავინ არავის ერთ გროშს არ მისცემს. არიან იმისთანანებიც რომ პურის ძჳრობაში, ფქვილი რომ ფუთი ხუთ მანათათ ისყიდებოდეს და ერთი კეთილი ვინმე გამოვიდეს, იაფათ ურიგებდეს ქვრივ ობლებსა და ღარიბ ხალხსა და გიდევაც არა ჰყოფნიდესთ,—გამოვიდეს იმ დიდი ოჯახის შვილი ბატონი ალა ვინმე გაგზავნოს თავისი ბიჭი და უთხრას; «წადი იმ ფქვილისა ორი ფუთი ჩემთვისაც იყიდეო» თითონ ეს უფალნივე, საწყალ ღარიბების თავს რომ მოვიდეს რამე ვინ იცის რა ბრძანებაები არ გასცენ და სხვებსაც არ დაუშალონ ხმის ამოღება და არ უთხრან თუ: «მამაშენი მამაჩემს ყმასავით ემსახურებოდაო,» ეს გამოცდილებით თავ მამწონი საფუძვლიან, ჭკვის უქონობის გამო, თავიანთ გამოცდილობით იგვეხიან. ამისთანა უფალნი, უგონონი და უჭუნრონი თავიანთ მამებით იწონებენ თავსა, ამ ორ გვარ უფალთათვის სხჳა გზა არ არის იმათ მოსაქცევათ გიჟების სახლის მეტი!

მართლა და ეს ძველნი ხალხნი როგორ სულელურთნაირნი არიან: თავ მოყვანილ გარიგებულ საქმეს სულ ჩაგიშლიან; ხოლო დავგლეჯენ ნასწავლ ხალხისაგან განათლების მიმღებთა და თანაც ყველგან საყვედურსათ ვქნებით, რომ: «მართლა ჩვენა ვართო ლოტრანგების და ხუმცეპისაგან გვარის დამხსნელნი და მცველნიო და გამპატიოსნებელნიო.» ერთი ჭკვიანხოს იმათ გაცმა თუ: «თქვენ წინათ ჩვენი გვარი სულ გალოტრანგებულა? ღმერთს გეფიცებით, მაგ ძველ გადმველიდ ხალხს არ ესმის გვარის პატივი: ერთი თავის ქალს ოთარს აძლევს, მეორე თავისთვის ფრანგის ქალსა თხოულობს, შინ სახლობაში იმათი ყმაწვილები სულ რუსულს და ფრანცუზულს ლაპარაკობენ. ცოდომა ერთი სიტყვა ხოშხური არ იცის და კიდევ გამოვლენ ერთ ყოფას გვიზმენ თუ: «თქვენ ლოტრანგებით ჩვენკი ჩვენი გვარისათვის თავებსა ვდებთ» ღმერთმან მშვიდობა მისცეთ, ჩვენ რა ხელი გვაქვს, მაგრამ მე ამაზე მამლის ჯვარი რომ რათ უნდა ეგრეთნი გაცნიც მეიდანზე გამოდიოდნენ. იმათი შვილები, რაცი შეიქნებიან ათის წლისა, აქაც ხო არა გადრეულობენ, რუსეთის და ევროპაში გზავნიან ანა თუ. ღმერთი გწამსთ იმათ რათ უნდათ ქალაქის სახალხო სასწავლებელი, ძალიან კარგიც რომ იყოს, თითონ ხო თავიანთ შვილებს იქ არ მისცემენ აი ამისგამო, თუ საიდუმლოთ შეინახავთ ჩემს სიტყვას, ცოტა თავს არ იწუხებენ ის ჩვენი ბატონები; ცოტაც რამდენისამე ჯვარი, ცოტაც თავიანთ თავის გამოჩენა და ცოტა ეს, ცოტა ის, საქმე საქმეთა ხვება და ახლების და ძველების ბრძოლა იმართება.

თქუენ დოქტორანგები ხართ იმხისან გაცვეთილები. თქუენც ყალთაბანდები ხართ, მტყუანნი ხართ, თქუენის თავის თქუენის გვარის დამამცრობელნი ხართ მიუგებიან ხოლმე ახალგაზდები რუსულათ ერთი კაი სიტყუჳსა ნათქუამი: «Худоовцамъ, гдѣ волкъ воевода», ნიშნავს რომელ ფარასაც მგელი ჰყავს მოძღუელი, იმ ფარის ცხოვრებისათჳს არა იქნება საკეთილო და სახეირო. ჩუენი ქალაქის გარემოებაც სწორეთ ესეა: ამ ჩუენ დიდ ბატონებს სწორეთ ცხვრებათ გაუხდივართ, როგორც უნდათ ისეც ტაშს უკრეენ და გვათამაშებენ. გვეყოფა რაც მაგათ ჩუენ გვიმოძღურეს, ზნეაში აქეთ იქით გვატარეს, დაბმული მაგვინახეს და თანაც ეშინოდათ რომ ჭკუმშარილმა მოძღუარმა არ გამოიღჳძოსო და ამათ თვალები არ ახილოსო და კარგი და ავი არ შეატყობინოსო. გვეუბნებიან თუ: თქუენ დაიჯერეთ რომ ესეა, არ გვიშვებენ კი რომ გავიგოთ რას ვიჯერებთ, რას შვრებით. თვალებ დახუჭული დაჯერება რისამე იქნება? მაგათ თუ ერთი გასვრილი ჭუჭყი რამ არა სჭირთ, მაშ გაგვიშონ თვალები ავახილოთ და ვნახოთ სანამ საქმის ძალა კარგათ არ შეიტყო ნუ დაიჯერებ დანუ ერწმუნები; თუნდ დაიჯერო კიდეც, მაინც კიდევ შენი ფიქრები მალე შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ კარგათ ნაფიქრები და მტკიცეთ გაგებული საქმე ძალიან საქებელია ისტორიაში სწერია რომ უწინდელ ამპარტავან ხალხის ფილოსოფოსნი, როდესაც ჯერ არ იყვნენ დაახლოვებულნი ქრისტიანებთან და არ იცოდნენ იმათ ქრისტიან სარწმუნოების ძალა, სულ დასცინოდნენ ქრისტი-

ანეზსა და განსჯევნიდნენ იმათ, მაგრამ ბოლოს ისევ ის ამპარტავანნი ფილოსოფოსნი ინათლებოდნენ ქრისტიანათა და თავსა სდებდნენ ქრისტიანობისათჳს. მგელნი გაცვეთილნი კაცნი აფრთხობენ ხალხსა და არ უნდათ რომ ჩუენი ხალხი ერთი გულიანა, დაუახლოვდეს განათლებასა განათლებულები სულ ერთიანათ წამხდრები და გარყვნილები არიანო. იმათგან რამდენიც შეგიძლიანთ შორს იარეთო, თავიანთ შვილებსკი აიის ანუ თერთმეტის წლისას რუსეთს ანუ ევროპაში გზავნიან ხოლმე გასანათლებლათა; თუკი განათლებისაგან შორს უნდა სიარული, მაშ თითონ თავიანთ თავათ რათ გზავნიან შვილებსა რატომ შორს არ გააქცევენ ხოლმე განათლებისაგან? აქედგან სჩანს აშკარათ რომ ისინი მოთლოთ ატყუებენ ხალხსა. ლოტრანგები არიან, ლოტრანგები. იძახიან, თითონვეკი აბარებენ შვილებს იმ ლოტრანგებსა და უმეგობრდებიან

ვისაცკი შინაური ერთმანერთთან დავიდარაბა ჰქონია, გამოდიან და ეხლა უნდათ ერთმანერთის ჯავრის ამოყრა. აი ისინი არიან რომ გვარში არეულ დარეულობას ახდენენ, თავიანთ დაფარულ გამოუჩენელ ჩხუბის მიზეზს საგვარეულო ჩხუბის მიზეზათ გვიჩუენებენ გარგისა და ავის თქმის მაგიერათ ლოტრანგებს ეძახიან ერთმანერთსა

მაგრამ რა დამიკარგავს. რას ვეძებ? ამ საცოდავ მგელ კაცებს არცკი ესმისთ რა არი ლოტრანგობა, არ იციან ვის ეძახიან ანუ ვინ არის ლოტრანგი მთელი წელიწადი ზღაპრების და ანდაზების თქმა ხომ იმ მგლების

ხელობასა, მაგრამ მეც ამ ერთის ამბის მეტს არ გიამ-ბობთ რომელიც მე ჩემის თვალით მინახავს და ჩემის ყურით გამიგონია: გავლილ შაფათ დღეებში ჩვენ, რა-მდენიმე ვაჭარნი კაცნი ერთად ვიდექით და ვლაპარაკობ-დით, ამაზე იმაზე, რასაც ლაპარაკი მოიტანდა. ერთბა-შათ ერთმა მსუქანმა ლამაზმა ქალმა აქა იქ სუნსუნით ჩვენ წინ გაიარა. ერთმა ახალგაზდა კაცმა, ცოტაოდენა საქმის მცოდნემ ვაჭარმა სიცილით თქო: ნეტავი ეს ქალი ჩემი იყოსო, დავკლავდიო და ფუფუნებათ გავაკეთე-ბინებდიო, თბილათ შემინახავდაო სწუალს. ჯერ არ და-ესრულებინა ეს სიტყვები, რომ ერთმა იქავე მდგომმა მველმა კაცმა გაკვირვებით უთხრა: «ვა, ლოტრანგი ხა-რო»! . იმის აზრით ქალის ტყავის ჩამცმელიც ლოტ-რანგია! მოდი ახლა და ამისთანაებს ელაპარაკე და შეა-სმინე რამე. . .

ბასტა, იტყვიან ხოლმე ევროპიელნი. ამ დამკვლე-ბულების და დაყვანგიანებულების საქმეც სწორეთ ბასტაა: იმათი დასასრული მოახლოვებულა. როგორც ზემოთაც მოგიხსენებია, დროება მიდის წინ და თანაც მიიზიდავს ხალხსა ნიაღვრის წყალი ამწვანებულ ხეებს რწყავს და განალხმებს, დამპალ დუმპალი კუნძებიკი მიაქვს ზღვაში და დალუპავს ხოლმე. დროების წყალიც ახალ გაზდებს აყვავებს და ანათლებს, გაცვეთილ და გაყანგიანებულ მოხუცებულებს კი მიარბენინებს ზღვაში ღრმათ ჩასა-ღუპავათ როგორც რომ წყალ წაღებული დაჩრობის ყამს ხელებს აქეთ და იქით აწოდებდეს რომ ჩაიგდოს რამე და თავის თავის მოსარჩენათ მოეჭიდოს, ისეც ამ დრო-

ების გაცვეთილ დაძველებულნი კაცნი შვრებიან. თუ წყალში ჩავარდნილმა დარჩობის ჟამს ერთ ერთი ჩაიგდორამ ხელში, ძალიან მოუჭერს; ჩუ̂ენი ქალაქის გაცვეთილ გაჟანგიანებულ და დაძველებულნიც დარჩობის წინათ ლოცრანგობას ძალიან მაგრათ მოსჭიდებიან და აღარ ეშვებიან. ღმერთმან ინებოს რომ ამ ღონისძიებით მაინც დაიხსნან თავები დარჩობისაგან.

აქედგან ცხადათ არა სჩანს იმათი დასასრულის ნიშნები? საითაც მიდგებიან და მოდგებიან ათასი საკერებლები უჩანსთ, რა საქმეშიაც შედიან სულ იმათი ჭუჭყები ჩნდება, კაიზე კაი ეყრებათ, დარდზე დარდი, უგონობაზე უგონობა. დაბალ ხალხს ესმის, რომ რამდენიც შეუძლიან უნდა დაუახლოვდეს განათლებულებსა, გაზდილებსა, ნასწავლებსა; გაზრდილებსაც ესმისთ რომ იმათ უნდა დაბეილოცონ განათლების მოძღუ̂არი; ვინც ამის წინააღმდეგობასა შვრება ის ჩუ̂ენი დროების კაცი არ არი და ამტკიცებს იმას რაც უთქუ̂ამს ჩუ̂ენს მეცნიერს იედიშეს: «დათვებს სიკუ̂დილი რომ მოუახლოვდებათო ერთმანერთს დიდ ბრძოლას დაუწყობენ ხოლმეო,» ღმერთმან ზეციერმან მიუტეოსთ იმ დაძველებულებსა თუ ისინი მოიგროვებენ თავში ჭკუ̂ასა.

უფალო რედაქტორო! გთხოვთ, თუ ახლობა გიყუ̂არსთ ამ ჩემს წერილსაც უშოვოთ ადგილი თქუ̂ენს გაზეთში. იქნება მე აქ ყველაფერი კარგათ არა მაქუ̂ს გამოყვანილი, მაგრამ რავქნა, დეე დანარჩენიც სხუ̂ა დროს იყოს: საქმეთ ხომ სულ მაგ გაჟანგიანებულებს არ გავიხდით, ცოტაც ახლობითგან ვილაპარაკოთ. მაგრამ, ახ,

რავქნა, ბევრი რამა მაქჳს სათქმელი, ენა მოკლე მაქჳს, სიმღერები ბევრი ვიცი, ხმა კი არა მაქჳს.

ქალაქის ვაჭარი,

შაქარ მანუშაკიანც-მღდისი

(ნათ. გრ. წინამძღვაროვისაგან.)

---

## ჩჳენი ცოლები და ქალები.

მოდი და გულს ნუ მოხვალ, როდესაც, რომ ჩჳენ ცოლებში და ქალებში ვერა ვხედავთ ერთს რიგიანს, ერთს საქებელს რასმე. არის, ვინ ამბობს, იმათში რამდენიმე საქებელი საქმე, მაგალითათ ვსთქჳათ: დედაკაცების ლოცვაზე სიარულის სიყჳარული, ახალგაზდა ქალების ვაჟკაცებისაგან მორიდება; მაგრამ ესენიც. როგორც ვხედავთ ეხლა, ცოტ-ცოტა აკლდება დედაკაცების ლოცვაზედ სიარულის სიყჳარულზე არაფერს ვამბობ. მხოლოთ ეს არი რომ ჩჳენი ახალგაზდა უმაწჳლ ქალების ვაჟკაცებისაგან მორიდება უწინდელსავით აღარ არის. სხჳა ქჳეყნის ქალები თავისუფლათ იქცევიანო, ვაჟკაცს არ ერიდებიანო, ჩჳენც რატომ ისე არ უნდა ვიყვნეთო.. შარშან და შარშან წინაც არ გვინახავს ჩჳენ რომ ლოცვაზე ქალები გადასულიყვნენ დედაკაცების მხარე ალაგითგან ვაჟკაცების ალაგს და იქ დამდგარიყვნენ; წელსკი, თქჳენმა მზემ, არეულან ხალხში და არც მორიდება, არც სირცხვილი.

სხუ̂ა ქუ̂ეყნის ქალები ესე შვრებიანო და ჩუ̂ენ რატო არ
უნდა გვქნათო, რითი ვართო იმათზედ ნაკლებიო. სხუ̂ა
ქუ̂ეყნის ქალებმა კაი საქმეებიც ბევრი იციან, განათლე-
ბულნი არიან, რატო განათლებასაც არ მიიღებთ ხოლმე?
იმათი ტანისამოსი და ავი ქცევა მალე დაგვინახავთ(!?)ავს
რო მიიღებთ ხოლმე, კარგიც მიიღეთ და.. ისინი კა-
რგსაც შვრებიან, ავსაც თქუ̂ენკი მარტოთ ავსა შეხებით. ექ.
სწავლა მერე საქმე .. რა ჭყავსო შენს ცოლსაო;—ქალიო;
ვაი, ვაი, ვაი, ვაი! რა სახლის დაქცევა მოსულაო, ბიჭო
ეგ რა გიქნიაო? ზიანი არ არისო, მაშ რა ზაჭრუმარიაო,
ესე ამბობენ ხოლმე როდესაც ერთს ვისმე ქალი ეყო-
ლება. სახლის დამქცევიაო, ამბობენ, ქალიო. ეხლა მა-
რთლა რომ ქალის ყოლა ამ ქალაქში უბედურებაა.. დედა
ზრდის ქალს, გახდის აის თორმეტის წლისას, უმაწვ-
ლიაო; ჯერ არასფერისთანას არას ასწავლიან მერე, თო-
რმეტის წლის შემდეგ, კერვას და გამოჭრას ასწავლიან
და ცოტაოდენს ქართულ წერა კითხვასაც; ქალაქის ადათი
ესე ყოფილა და თვლევანდლამდისინაც ესე შვრებიან მრა-
ვალნი. როდესაც ქალი გახდა თოთხმეტის წლისა, მაშინ,
აბა იალლა, დაასტანე მალა ტანისამოსსა. ტიკინისავით
მორთვენ ხოლმე და მოკაზმული გაჰყავთ ხალხის საჩვე-
ნებლათ, მიჰყავთ ობებში, ახალწელიწადს და ნათლის ღე-
ბის დღეს წირვაზე, ოთხ ხუთ წელიწადსაც თითოჯერ
წაიყვანენ ისე მორთულ მოკმაზულს წირვაზე საზიარე-
ბლათ. საწყალ ქალებმა აბა რა იციან თუ რა არი წირვა
ან ლოცვა, რისთჳს მიდიან იქ; იმათ ასე ჰგონიათ რომ
კარგათ უნდა მოირთონ და ისე ეჩუ̂ენონ წირვაზე ღმე-

რთსა, და ხალხსა, გაშინჯონ სხჳა ქალების მორთულობა, კაი ტანისამოსიანების ნახვით გულ დააკლდესთ, მერე ჩხუბი და შფოთი დაუწყონ თავიანთ დედებსა რომ ამა და ამის ქალი კარგათ იყო მორთული თითონკი მოდნის ტანისამოსი არა აქვს. ჩჳენი ახალგაზდა ქალებისთჳს არც ზიარებაა და არც ქრისტიანობა: სომხურათ ნათქვამი ლოცვები იმათთჳს თათრულათ და ლეკურათ ნათქჳამსავით არის; ასე იქნება: რო არ უსწავლებიათ, სწავლა არ მიუღებინებიათ საითგან უნდა იცოდნენ? არც ასწავლიან და არც შაფათ კვირას ლოცვა წირვაზე მიჰყავთ, როგორც რიგია ყოველ ქრისტიანისა. ეჰ, ვინ მამცა რომ მუდამ დღე ახალ ახალი ჩავაცმოთ და ლოცვაზე ვატაროთ, ამბობს ქალის დედა

ყოველი ქრისტიანი, თუ კაცი. თუ დედაკაცი, თუ პატარა და თუ დიდი მოვალეა მუდამ დღე იგონებდეს თავის ღმერთს, შაფათ კჳრა მაინც მიდიოდეს ლოცვაზე, ილოცოს, ჰმადლობდეს და ადიდებდეს ღმერთსა თავის სულს ავედრებდეს და ემსახურებოდეს. თუნდ ფრანგისა და თუნდ რუსის ეკლესიებში შაფათ კჳრაობით რო შეხედო ნახავ რომ დედაკაცებთან ახალგაზდა ქალებიც დგანან და ლოცულობენ ურიები რო ურიები არიან, იმათ სალოცავშიაც კი არიან ხოლმე მუდამ შაფათს უკლებლივ ახალგაზდა ქალები. ყველანი იაფიფასის ტანისამოსით მიდიან, ზოგი ჩითის კაბითა, ზოგი კისეითა და იშვიათნი, ათასში ერთი, ფარჩის კაბითა; მაგრამ ეს არის რომ რაც უნდა ეცოთ სუფთათ და შესაფერათ აცვიათ ხოლმე.

დღევანდლამდინ რამდენ ომებში ვყოფილვართ და შენ თქვი თუ ნახამ სადმე ახალ გაზდა ქალს ჩითის კაბითა, ან კისეითა? ძალიან ცოტას, ასში ერთს, ათასში ორს. კაი მორთულობა ფარჩაო, გლასი უნდა იყოსო, მორეო და იმისთანა რამეები; გლასის კაბას თუნდ ოც ალაგს ლაქა ჰქონდეს, მოსვრილი და მოქონილიც იყოს ისევ იმას ჩაიცმენ, ფარჩაო, ყუმაშიაო: იმ სუფთა და მშუენიერ კისაიებს და ჩითებსკი არა კადრულობენ ჩაიცონ.

რა ჩუენი შესაფერიაო, ამბობს დიდი ოჯახის ქალი; ჩითი და კისეია ყის ეკადრებაო. დაბალი ოჯახის ქალიც ხო თავის თავს დაბლის ალაგს არ დასდებს, ისიც დიდი ოჯახის ქალებსავით დომულობს გამოკიდეს. აი ამისაგან არის რომ ობებში ძნელია მდიდარ და ღარიბ ქალების გარჩევა, ყველანი მძიმეთ ჩაცმულ დახურულნი, ფარჩებით და ყუმაშებით მორთულნი არიან ხოლმე, ვინა ხედავს რომ რომელი ქალის ტანისამოსი ნათხოვარია და რომელი საკუთარია; იმ უკანასკნელ ფინაჩების (წალების დამკერებლების) და მეფურნების ქალებიც იმათთან იჭიმებიან, ვერ გაარჩევთ იმათ სხვებისაგანა. საქმე ის არი რომ ამისთანა ქალების პატრონები ჩივიან რომ დროება გამოიცვალაო, სასიძოები დაძვირდნენო, ქალების საქმე წახდაო; უწინ ოც, და ოცდა ათ თუმნით ვათხოვებდითო, ახლაკი ვაჟები ას და ათას თუმნობით იძახიანო.—ამ სიტყვებს ყოველ გასათხოვარ ქალის დედისაგან გაიგებ, ჩივიან და ამასკი არა ფიქრობენ რომ ამისი მიზეზნი თითონ არიან, თავიანთი მოქმედებაა. დედებო, ქალების პატრონე-

ბო, ერთი კარგათ დაფიქრდით თქუენს მოქმედებაზე და მერე იჩივლეთ შენ ხომ კარგათ იცი დედაჯან, რომ ოცის თუმნის მეტი არა გაქჳს ქალის გასათხოვებლათა, რაღათ გამოგყავჳს ხოლმე შენი ქალი ასის თუმნის შემძლე ქალებთანა, რათ აცმევ ისე როგორც ისინი იცმენ, რატო შენ შესაფერათ არ გამოიყვან შენს საქონელს ხალხისათჳს საჩვენებლათა»? ამბობთ რომ ვაჟები დაძჳდნენო — თქუენი საქონელია ძჳრი და ძნელი შესანახავი; სიძჳმ რა გიყოთ? გააიაფეთ თქუენი საქონლის შენახვა, ყველა დედამ თავის შეძლების გვარათ გამოიყვანოს თავისი ქალი და მაშინ, რასაკვირველია, ვაჟებიც რიგიანათ მოიქცევიან, დიდრონ ფულებს არ მოითხოვენ, ამიტომ რომ ცოტა ხარჯი ექნებათ იმათ თავიანთი ცოლების შესანახავათა. მაგრამ ვის ეტყჳ? ბევრჯერ უთქჳამთ ესენი, ცოლებიკი არა შვრებიან. თავიანთი ნებაა, დეე ისე მოიქცნენ, ვნახოთ რომელი მხარე ჰკარგავს, იმათი მხარე თუ ვაჟების მხარე ვაჟები ოცდა თხუთმეტის და ორმოცის წლისანი ხდებიან და მერე ირთვენ ცოლსა ათას ათას თუმნითა, ვაჟები ითმენენ, რასა ჰკარგვენ? დიდრონი ქალების პატრონებს მოსდისთ ზიანი, იმათი დასანიშნავი ქალი ათი თორმეტი წელიწადი ზის შინა; ოცი, ოცდახუთი და ოცდა ათის წლისა ხდება და მთხოვნელი არ არის, იმათი ჭირი რჩება შინ, ჭირია ამიტომ რომ დიდი მორთულობა უნდება მუდამ წელიწადს, თუნდ შემძლე იყოს, თუნდ შეუძლებელი

რათა რჩებიანო ოცი და ოცდა ხუთის წლის ვაჟები უცოლოთაო აი გეტყჳთ მე თქუენ რათა; ოცის თუმ-

ნით ცოლის მთხოვნელმა უნდა ასის თუმნის მქონესთან გამოიყვანოს ცოლი, ამიტომ რომ შინ ისე დაუჩვევიათ დედებსა; ასის თუმნით მთხოვნელმა ხუთასი თუმნიანთან უნდა გამოიყვანოს და ხუთასი თუმნიანი ათას თუმნიანთანა; ვაჟიც გაუჯაბრდება ხოლმე და არა თხოულობს ცოლსა; ქალი რჩება შინა, ბერდება და მყავდება და ბევრი ცუდი საქმეები მოხდება ხოლმე ამისაგანა. ყოველ ამ ნაკლულევანების გამსწორებელი, ქალების და ცოლების თავიანთ თავის გამაცნობებელი სწავლაა, სწავლა. სწავლა. სწავლა რომ ექნება ახალ გაზრდა ქალსა. მაშინ გაიგებს რომ მორთულობისათვის და ქმრებთან ჩხუბისა და შფოთისათჳს არ არის გაჩენილი; მაშინ დაინახავს რომ ის უნდა იყოს კაი—ტანდიკინი (სახლის მომვლელი) თავის ქმრის სახლში, ქმრის მორჩილი და შვილების კარგათ მომვლელი ქალების სასწავლებლათაც ქალების სასწავლებლების საჭიროა. აი ერთი გაუმართავთ აქ ფეთხაინში, სადაც ოც და ათ, ოცდა თხუთმეტ ქალამდინ სწავლობს; მაგრამ ამისთანა დიდი ქალაქისათჳს ძალიან ცოტაა. ამისთანა ათიც რომ გაიმართოს კიდევ ცოტაა. შუშა ყარაბაღს რო ვამბობთ, აი იქ ერთი დიდი ქალების სასწავლებელი გაუმართავთ; ჩუჱნ იმათ უკანაცა ვრჩებით? სწორეთ გითხრათ, დიდი სირცხვილია ჩუჱნთჳს. თუ გვინდა რომ დღეის იქით მაინც ჩუჱნი ქალები ქალები იყვნენ და არათუ ტიკინები, უნდა ვეცადნეთ, ვისაცკი ხელითგან გამოგვივა, ქალების სასწავლებლები გავმართოთ, ერთი აქა, ერთი იქა ერთი ავლაბარში,

ერთი კუკიაში, განჯის უბანში და სხუა ალაგებში სადაც მარჯუედ იქნება.

გ. ტ. ა.

(ნათ. სომხურითგან გრ. წინამძღვაროვისაგან)

# სხჳა და სხჳა ამბავი:

**1**,—წიგნი ერთის მოქალაქისაგან რედაკტორთან მიწერილი ნათარგმნი გრ. წინამძღვაროვისა —**2** ჩჳენი ცოლები და ქალები. იმისივე

---

**1864** წლის

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად **6** მან. დამატებით **7** მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ **7** მან. დამატებით. **8** მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში. ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს

Дозволено цензурою. 1864. г. 19. Августа.